

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

### ოთარ კეპულაძე

მკურნალობის ქირურგიული მეთოდების ოპტიმიზაცია პანკრეასის  
დაავადებების დროს

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მერაბ კილაძე - მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.  
მალხაზ მიზანდარი - მედიცინის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

თბილისი

2020

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება პანკრეასის ქირურგიული პათოლოგიების რიცხვის მატება. დაავდებების ადრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა და ოპერაციის შემდგომი გართულებების პრფილაქტიკა, თანამედროვე კლინიკური მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

ჩვენს მიერ ჩატარებულ (2010-2020წწ.) კვლევაში მონაწილეობდა 116 პაციენტი. შეიქმნა ორი კლინიკური ჯგუფი: I-39 პაციენტი, რომლებსაც ჩაუტარდათ ოპერაციული მკურნალობა პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის დაავადებების გამო და II - 77 პაციენტი, რომლებსაც პანკრეატიტის და დილატირებული პანკრეასის სადინრის გამო გაუკეთდათ პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება.

I ჯგუფში-35 პაციენტს პერიამპულარული სიმსივნის დიაგნოზით ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა - პანკრეატოდუოდენალური რეზექცია. 1 პაციენტს-პანკრეასის კუდის სიმსივნის, 1-პანკრეასის სადინარში ჩაყენებული სტენტის ჩაჭედვის გამო, 2-ინტრაოპერაციულად დადგენილი არარეზექტაბელური პანკრეასის სიმსივნის გამო-პალიატიური ოპერაცია. პერიამპულარული ზონის სიმსივნის დიაგნოზის მქონე 35 პაციენტიდან 18 შემთხვევაში აღინიშნებოდა პანკრეასის თავის, 16-ფატერის დვრილის, ხოლო 1-ნაღვლის საერთო სადინრის დისტალური ნაწილის სიმსივნის დიაგნოზი. 34 შემთხვევაში შესრულებულ იქნა პანკრეატოიეიუნოსტომია, 1-პანკრეატოგასტროსტომია. 20 შემთხვევაში გაკეთდა „კლასიკური“ პანკრეატოდუოდენალური რეზექცია, 15-პილორუსის შემანარჩუნებელი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია. ოპერაციამდე 2-3 კვირით ადრე ვაწარმოებდით პანკრეატო-ბილიარული ზონის დეკომპრესიას. შესრულდა: 18-პერკუტანული ბილიარული დრენირება, ხოლო 12 შემთხვევაში ორივე, როგორც ბილიარული ასევე პანკრეასის სადინრის დრენირება და დრენაჟები გამოყენებულ იქნა როგორც ტრანსანასტომოზური სტენტი, 8 შემთხვევაში გაკეთდა ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით, 4 შემთხვევაში ინტრაოპერაციულად გაკეთდა ტრანსპანკრეასული დრენირება. კვლევის საწყის ეტაპზე 6 შემთხვევაში ინტრაოპერაციულად გამოყენებულ იქნა

დაკარგული სტენტი, 5 შემთხვევაში წინასაოპერაციო პერიოდში გავეთდა ფატერის დვრილის ენდოსკოპიური სტენტირება.

II ჯგუფში - 46 შემთხვევაში ჩარევის მიზეზი იყო პანკრეასის თავის სიმსივნე, 16-ვირზუნგოლითიაზი, 7-პანკრეასის სადინრის სტიქტურა, 6-ფატერის დვრილის სიმსივნე, 1-მეტასტაზური დაზიანება, 1-პანკრეასის ფისტულა. 46 პროცედურა შესრულდა ულტრაბგერითი-რენტგენოსკოპული კონტროლით, 26-კომპიუტერული-რენტგენოსკოპული კონტროლით, 4-კომპიუტერული კონტროლით, 1-რენტგენოსკოპული კონტროლით. პანკრეასის სადინარში შესვლის წერტილი 56 შემთხვევაში იყო პანკრეასის სხეული, 15-კუდი და 6-ყელის არე. 18G დიამეტრის საპუნქციო ნემსის გამოყენება მოხდა 41, ხოლო 22G დიამეტრის-16 შემთხვევაში. კოაქსიალური ტექნიკის გამოყენებით განხორციელდა ვირზუნგის სადინრის პუნქცია 20 შემთხვევაში, აქედან 14-18G დიამეტრის საპუნქციო ნემსები გამოყენებულ იქნა-2, 18-22G-15 და 17-18G დიამეტრის-3 შემთხვევაში. ტარნსგასტრულად ვირზუნგის დრენირება განხორციელდა 9, ხოლო ტრანსკეპატურად 7 შემთხვევაში. ჰიდროდისექცია განხორციელდა 6 შემთხვევაში. 1 შემთხვევაში პანკრეასის სადინართან მისადგომ გზად გამოყენებულ იქნა უკვე არსებული პერკუტანული ტრანსკეპატური ბილიარული კათეტერი.

I ჯგუფში-7 პაციენტში აღინიშნა გართულების 11 შემთხვევა. პანკრეასული ანასტომოზის უკმარისობა აბსცესის ფორმირებით-4 შემთხვევა, რომელიც კორეგირებულ იქნა აბსცესის ღრუს პერკუტანული დრენირებით. ევენტერაციის-2, აროზიული სისხლდენის-1, ჰემორაგიული პანკრეატიტის-1 და ქირურგიული ინფექციის-3 შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ ეს გართულებები განვითარდა კვლევის საწყის ეტაპზე. იმ შემთხვევებში, რომლებშიც არ იყო გამოყენებული ჩვენს მიერ შემუშავებული ანასტომოზი და პანკრეატობილიარული ზონის პერკუტანული დრენირება. 2 შემთხვევაში ანასტომოზის მიდამოდან განვითარდა ე.წ „ბიოქიმიური გაჟონვა“, კლინიკურად უმნიშვნელო და უსიმპტომო მიმდინარეობით, რომლებიც არ მოითხოვდნენ ფარმაკოლოგიურ ან სხვა სახის ჩარევას. 5 პაციენტი გარდაიცვალა ოპერაციიდან 6 თვე-3 წლის პერიოდში.

II ჯგუფში ყველა შემთხვევაში იყო კეთილსაიმედო გამოსავალი. ჩვენს პრაქტიკაში არ გვქონია ისეთი გართულებები როგორიცაა სისხლდენა, სისხლძარღვების დაზიანება, პანკრეატიტი, ინფექციური გართულებები.

ჩვენი შედეგების ანალიზით პერკუტანული ვირზუნგოსტომია წარმოადგენს უსაფრთხო და ეფექტურ პროცედურას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო პროცედურა პანკრეასის სადინრის დრენირებისათვის ან ხიდად სხვა შემდგომში საჭირო ჩარევის ჩასატარებლად. ხოლო ჩვენს მიერ შექმნილი ახალი „პირით-პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით არის მარტივი წარმოებისთვის და ზრდის ანასტომოზის საიმედოობას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგები, მიღებული პაციენტთა მცირე ჯგუფზე, იძლევა საკმაოდ დამაიმედებელი და ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას, რაც საჭიროებს კვლევის გაგრძელებას და გაღრმავებას მეტი სარწმუნოებისათვის.

## Abstract

Recently, the number of pancreatic pathologies is growing. Early diagnosis of pancreatic diseases, proper treatment tactics and post-operative complications are one of the most relevant issues in modern clinical medicine.

116 patients have participated in our study, performed in 2010-2020yy. Two clinical groups have been set up: I - 39 patients who had been treated with pancreas and periampullary region diseases, and II group - 77 patients who have undergone the drainage of the pancreatic duct by the ultrasound and fluoroscopy or CT and fluoroscopy control, due to pancreatitis and dilated pancreatic duct.

In the group I-35 patients with periampullary cancer diagnosis have been treated by pancreaticoduodenal resection. 1– pancreatic tail cancer, 1–due to pinching of a stent in the pancreatic duct, 2–due to intraoperatively determined non-resectable pancreatic cancer – palliative operation.

Out of 35 patients diagnosed with periampullary cancer, in 18 cases, diagnose was pancreatic head cancer, in 16–cancer of ampulla of Vater, in 1– cancer of the distal part of the common bile duct. In 34 cases pancreateojejunostomy was performed, in 1 case–pancreatogastrostomy. In 20 cases– “classic” pancreaticoduodenal resection, in 15 cases–pylorus preserving pancreaticoduodenal resection. We have performed decompression of pancreatobiliary region 2-3 weeks earlier before the surgery. It was conducted: in 18 cases – percutaneous biliary drainage, in 12 cases – both, as biliary as well as drainage of the pancreatic duct and was used as a transanastomotic stent. A new "end-to-end" double invaginated pancreaticojeuno-anastomosis with transanastomotic stenting and external pancreatic duct drainage was performed in 8 cases; intraoperative transpancreatic drainage – in 4 cases. Lost stent was used intraoperatively in 6 cases at the initial stage of research; in 5 cases – endoscopic stenting of ampulla of Vater.

In group II-the reason of intervention in 46 cases was pancreatic head cancer, 16–Lithiasis of Wirsung's duct, 7– pancreatic duct stricture, 6–Ampulla of Vater cancer, 1–metastatic lesion, 1– pancreatic fistula. The procedure was performed with ultrasound and fluoroscopy control in 46 cases, 26–CT and fluoroscopy control, 4–CT control, 1– fluoroscopy control. In 56 cases the entry point into the pancreatic duct was the pancreatic body, 15–tail

and 6–pancreatic neck area. Puncture needle of 18 G diameter was used in 41 cases, and puncture needle of 22 G diameter-16. Puncture of pancreatic duct with coaxial technique was performed in 20 cases, puncture needles of 14-18 G diameter were used in 2 cases, 18-22 diameter needles-15 and 17-18 G diameter needles—in 3 cases. Drainage of Wirsung's duct was performed transgastrically in 9 cases, transhepatically-7. Hydrodissection was performed in 6 cases. The percutaneous transhepatic biliary catheter already placed in it, was used as a guide to reach the pancreatic duct in 1 case.

In group I-11 cases of complications were observed in 7 patients. Failure of pancreatic anastomosis in the form of abscess—4 cases, eventration –2, erosive bleeding –1, haemorrhagic pancreatitis -1 and 3 cases of surgical infection. It must be noted that these complications were expressed at the initial stage of the research, in the cases when anastomosis and percutaneous drainage of pancreatobiliary region developed by us were not used. In 2 cases—so called “Biochemical Leak” from anastomosis area was expressed with clinically insignificant and asymptomatic course, which do not require pharmacological or other types of intervention. In 5 patients the treatment had a fatal outcome from 6 months to 3 years period after the operation. In group II-A successful solution has been found in all cases. We have not faced the complications such as: bleeding, the damage of blood vessels, pancreatitis, infection.

By analysing our results, the percutaneous Wirsungostomy is a safe and effective procedure that can be used as an independent procedure for drainage of the pancreatic duct or as a bridge for other interventions. A new "end-to-end" double invaginated pancreaticojeuno-anastomosis with transanastomotic stenting and external pancreatic duct drainage presented by us—is safe, simple, less traumatic, easy to perform and use practically, in all clinical situations.

Therefore, we can conclude that the results of our study obtained on a limited group of patients allows us to make a very promising and optimistic prognosis that requires continued study and big sizes of observations.

## სარჩევი

შესავალი-	1
პრობლემის აქტუალობა-	2
კვლევის მიზანი და ამოცანები-	9
მეცნიერული სიახლე -	10
ლიტერატურის მიმოხილვა -	10
ისტორიული ექსკურსი -	10
პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნური წარმონაქმნები -----	13
დაავადების გავრცელება და სიკვდილიანობა -----	14
დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი -----	17
დაავადების კლასიფიკაცია -----	17
დაავადების კლინიკური სურათი -----	23
დაავადების დიაგნოსტიკა -----	24
მკურნალობის მეთოდები -----	27
ვირზუნგოლითიაზი -----	29
კვლევის მეთოდები და მასალა -----	30
კვლევის დიზაინი -----	31
პაციენტების კლინიკური დახასიათება -----	32
კვლევის ლაბორატორიული მეთოდები-----	35
კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები -----	36
სიმსივნეების მორფოლოგიური დახასიათება -----	37
ოპერაციული ჩარევების მეთოდიკა და ტექნიკა -----	38
ოპერაციული ჩარევების ჩვენებები და უკუჩვენებები -----	38
პანკრეასის სადინრის დრენირების (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა-----	38
პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა ულტრაბგერითი - რენტგენოსკოპული კონტროლით -----	38
პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა კომპიუტერული ტომოგრაფიითა და რენტგენოსკოპიული კონტროლით -----	40
ვირზუნგოლითიაზის მკურნალობის მეთოდიკა და ტექნიკა (ბალონით ასისტირებული დაღმავალი ლითოლაპაქსია) -----	42
პანკრეატო-დუოდენალური რეზექცია Whipple-ს წესით -----	44

პილორუსის შემანარჩუნებელი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია	48
ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნოანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინონის გარეთა დრენირებით	54
კუჭვეშა ჯირკვლის დისტალური რეზექცია	58
კუჭვეშა ჯირკვალზე წარმოებული სხვა ოპერაცია	59
პალიატიური ჩარევები კუჭვეშა ჯირკვლის არარეზექტაბელური შემთხვევების დროს	63
ოპერაციული ჩარევების შედეგები	67
პანკრეასის სადინონის მინიინვაზიური დრენირების შედეგები	67
ტექნიკური და ტაქტიკური თავისებურებები პანკრეატოდუოდენალური რეზექციის დროს	68
ოპერაციის შემდგომი პერიოდის მართვის თავისებურებები	73
დისკუსია	75
დასკვნა	80
პრაქტიკული რეკომენდაციები	80
გამოყენებული ლიტერატურა	82
სამეცნიერო პუბლიკაციები ნაშრომის თემაზე	101

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება პანკრეასის ქირურგიული პათოლოგიების რიცხვის მატება, რაც თავისთავად ზრდის ამ ორგანოზე ქირურგიული ჩარევის რაოდენობას.

კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობის სწორი ტაქტიკა და ოპერაციის შემდგომ გართულებებთან ბრძოლა თანამედროვე კლინიკური მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მისი აქტუალობა განპირობებულია აღნიშნული პათოლოგიების საკმაოდ მაღალი სიხშირით და მრავალფეროვნებით.

დადგენილია, რომ მავნე ჩვევები, როგორიცაა თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, წარმოადგენს პანკრეასის ქრონიკული დაავადებების და მათ შორის სიმსივნეების გამომწვევ მთავარ რისკ ფაქტორს.

მთელს მსოფლიოში რეგისტრირდება პანკრეასის კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის ზრდა. იგი შედის ყველაზე ხშირი ავთვისებიანი სიმსივნეების ათეულში და გამოირჩევა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით. სამედიცინო დიაგნოსტიკის მეთოდების და აპარატურული ტექნიკის განვითარების მიუხედავად, ვერ ხერხდება დაავადების დიაგნოსტიკა ადრეულ ეტაპზე, რადგან, დაავადების სიმპტომები მეტად მრავალფეროვანია. უმეტესად იგი განისაზღვრება ფონური და თანამდევი დაავადებებით (პანკრეატიტი, ნაღველკენჭოვანი დაავადება, ღვიძლის ციროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ). ამ პათოლოგიების სიმპტომები იმდენად მკაფიოდაა გამოხატული, რომ ხშირად განაპირობებს საექიმო შეცდომებს ამბულატორიულ ეტაპზე.

მე-19 საუკუნიდან კუჭქვეშა ჯირკვლის ქირურგიაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ოპერაციის შემდგომი გართულებებისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. დღესდღეობით, მიუხედავად ახალი და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების, დიაგნოსტიკის და ოპერაციული მკურნალობის მეთოდების დახვეწისა, მსოფლიოში კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების ქირურგიული მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება (29, 37,86,94,102,111).

## პრობლემის აქტუალობა

თავისი ისტორიის მანძილზე, კუჭქვეშა ჯირკვალზე შესრულებული ოპერაციული ჩარევები ასოცირდებოდა გართულებების მაღალ მაჩვენებელთან. ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა პირველად აღწერილ იქნა 19 საუკუნეში და მას შემდეგ მათი პროფილაქტიკა მთავარი სამიზნეა ქირურგებისთვის.

დღესაც, პანკრეასზე წარმოებული ოპერაციების გართულებებიდან მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა და გასტროპარეზი (6,7,9,144,176).

მსოფლიო გამოცდილების ანალიზით, დაწყებული პანკრეასის თავის პირველი რეზექციიდან 1898წ (Codivilla) – 1940წ-მდე კუჭქვეშა ჯირკვალზე წარმოებული ოპერაციების (124 ოპერაცია) ლეტალური მაჩვენებელი შეადგენდა 60%, ხოლო 5 წლიანი სიცოცხლის მაჩვენებელი - 5%-ს. შემდეგი 30 წლის განმავლობაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 5-11%-მდე, ხოლო ოპერაციის შემდგომი გართულებები მერყეობდა 36-70%. ბოლო წლებში სპეციალიზირებულ კლინიკურ ცენტრებში კუჭქვეშა ჯირკვალზე ჩატარებული ოპერაციების ლეტალური მაჩვენებელი შემცირდა 5% მდე, მაგრამ კვლავ მაღალი რჩება ოპერაციის შემდგომი გართულებების რისკი, რომელიც შეადგენს 30-60%-ს (25,11,159).

ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა იწვევს მძიმე გართულებებს, როგორიცაა: ქირურგიული ინფექცია, აბსცესის ფორმირება, პერიტონიტი, სეფსისი, აროზიული სისხლდენა, ორგანოების უკმარისობა, რაც თავისთავად ზრდის განმეორებითი ჩარევის მაჩვენებელს. შესაძლებელია ფისტულა იყოს კონტროლირებადი და წარმატებით მიმდინარეობდეს მისი მკურნალობა, მაგრამ ის მაინც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე (43,50,138).

ფისტულის ჩამოყალიბების სიხშირე მერყეობს 13-41%-მდე. პანკრეასის პოსტოპერაციული ფისტულის ნაცვლად მედიცინაში სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება: ფისტულა, გაჟონვა, ანასტომოზის უკმარისობა. ტერმინის „ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის (POPF)“ განსაზღვრამ, რომელიც მოწოდებული იყო პანკრეასის ფისტულის საერთაშორისო სასწავლო ჯგუფის (ISGPF) მიერ 2005 წ-ს,

ფართო აღიარება მოიპოვა. ISGPF განსაზღვრავს ტერმინს, როგორც - პანკრეატოენტერო ანასტომოზის ჰერმეტიზმის დარღვევას ან ჯირკვლის პარენქიმიდან გაუონვას, რომლის დროსაც თავისუფალ მუცლის ღრუში არსებული დრენაჟიდან გამოყოფილ სითხეში ამილაზის მაჩვენებელი, ოპერაციის შემდგომ 3 დღის განმავლობაში 3-ჯერ აღემატება სისხლის შრატში მის რაოდენობას (8,17,131,137,176) (ცხრილი N1).

ცხრილი N1: ISGPF-ს მიერ ტერმინი „ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის (POPF)“ განმარტება.

კლინიკური კრიტერიუმები	ფისტულის არარსებობა	ხარისხი A	ხარისხი B	ხარისხი C
ამილაზას რაოდენობა გამოყოფილ სითხეში	< 3ჯერ	> 3 ჯერ შრატში ამილაზას რაოდენობაზე		
აქტიური გამონადენი		არა		კი
ინფექციის ნიშნები		არა		კი
რეპოსპიტალიზაცია		არა		კი/არა
კლინიკური მდგომარეობა		კარგი	ხშირად კარგი	ცუდი
სპეციფიური მკურნალობა		არა	კი/არა	კი
ექოსკოპია/კტ		არა	კი/არა	კი
სეფსისი		არა		კი
განმეორებითი ჩარევა		არა		კი
სიკვდილი		არა		კი

Bassi et al.(2017წ)-ის მიერ მოწოდებულია ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის სისტემა: A ხარისხის ფისტულა - ეწ „ბიოქიმიური გაუონვა“, გამოირჩევა კლინიკურად უმნიშვნელო და უსიმპტომო მიმდინარეობით, რომელიც არ მოითხოვს ფარმაკოლოგიურ ან სხვა სახის ჩარევას; B ხარისხის ფისტულა გამოირჩევა დაავადების მსუბუქი მიმდინარეობით, რომელიც საჭიროებს ფარმაკოლოგიურ ან მინიინვაზიურ ჩარევას; C ხარისხი - გამოირჩევა

დაავადების მძიმე მიმდინარეობით, სახეზეა ინფექციური გართულებები, რაც მოითხოვს ინტერვენციას (18).

ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულების რისკ-ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ სამ კატეგორიად: პაციენტთან, დაავადებასთან და ჩარევასთან დაკავშირებული ფაქტორები (31,33,91).

კუჭქვეშა ჯირკვალის კონსისტენცია ერთ-ერთი კარგად შესწავლილი რისკფაქტორია. პარენქიმის კონსისტენციის აღწერისას მიღებულია შემდეგი ტერმინის გამოყენება - „რბილი“ ჯირკვალი, რაც გულისხმობს პანკრეასის ქსოვილის ნორმალურ სტრუქტურას ფიბროზული ცლილებების გარეშე. პანკრეასის ფუნქციური აქტივობის გამო, ოპერაციულ ტრავმატიზმზე საპასუხოდ ვითარდება მწვავე პანკრეატიტი, ხოლო რეზექციის ხაზზე პანკრეონეკროზი, რომელიც იწვევს ნაკერების ან ტაკვის უკმარისობას, რაც საფუძველია ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის ჩამოყალიბებისა (5,43,144).

„რბილი“ ჯირკვლიდან განსხვავებით, „მკვრივი“ ხასიათდება ფიბროზულად გადაგვარებული პარენქიმით და დაბალი ფუნქციური აქტივობით. ასეთი შემთხვევა აადვილებს პანკრეატოდიგესტიური ანასტომოზის შეხორცებით პროცესს და შედარებით ნაკლებია რისკი განვითარდეს ოპერაციის შემდგომი გართულებები (19,26,44,55,80,83,121,128,151,190). J.Denbo et al.(2012წ)-ის მიერ 2706 პანკრეატოდუოდენალური რეზექციის შემთხვევაზე ჩატარებულმა მულტიცენტრულმა კვლევამ აჩვენა, რომ ფისტულის განვითარება უფრო ხშირად ხდებოდა „რბილი“ ჯირკვლის შემთხვევაში (43).

ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის ფორმირებაში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიჩნეულია პანკრეასის სადინრის დიამეტრი. O.Belyaev et al.(2011წ)-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნაოპერაციევ პაციენტებს, რომლებსაც განვითარდათ პანკრეასის ფისტულა, აღნიშნებოდათ პანკრეასის „წვრილი“ სადინარი (19). შედეგების მრავალმხრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ფისტულის წარმოქმნის რისკი იზრდება „წვრილი“ (3მმ-ზე ნაკლები) სადინრის შემთხვევაში. ექოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული მონაცემებით შესაძლებელია განვსაზღვროთ პანკრეასის სადინრის დიამეტრის ინდექსი (სადინრის დიამეტრის შეფარდება პანკრეასის სხეულის ზომასთან). <0,2

ინდექსის შემთხვევაში ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის ჩამოყალიბების რისკი აღწევს 41%-ს (9,31,39,121,141,142).

არსებობს მოსაზრება, რომ კუჭქვეშა ჯირკვლზე წარმოებული ოპერაციების დროს პოსტოპერაციული გართულებები დამოკიდებულია პაციენტის სქესზე. H.Pitt et al (2007წ)-ი აღნიშნავს, რომ ქალებში პოსტოპერაციული ფისტულა უფრო იშვიათად გვხვდება ვიდრე მამაკაცებში. 1239 წარმოებული პანკრეატოდუოდენალური რეზექციის მონაცემებმა აჩვენა, რომ მამრობითი სქესი ფისტულების განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მრავალი ავტორი მიიჩნევს, რომ ასაკი არ მოქმედებს ფისტულების განვითარების სიხშირეზე. 80 წელს ზემოთ პაციენტების შესწავლის საფუძველზე, მიზეზშედეგობრივი კავშირი ასაკსა და ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულის განვითარებას შორის არ დადგინდა (83,104,140,168,188).

რეტროსპექტულმა კვლევამ (92 პაციენტი) აჩვენა, რომ საგრძნობლად მაღალია ფისტულის განვითარების რისკი ჭარბწონიან პაციენტებში (37%), რადგან იზრდება ოპერაციის ხანგრძლივობა, სისხლის დანაკარგი და სიმსუქნესთან დაკავშირებული გართულებების რისკი. აგრეთვე, ამ პათოლოგიას თან ახლავს კუჭქვეშა ჯირკვლის ლიპომატოზი და ჯირკვლის ტაკვის ცხიმოვანი ინფილტრაცია ანასტომოზის ნაკერების დადებისას, ზრდის ფისტულის ჩამოყალიბების რისკს (59,126,186).

ლიტერატურაში შაქრიანი დიაბეტი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები რიგ შემთხვევებში განხილულია, როგორც პანკრეასის ფისტულის წარმოქმნის რისკ-ფაქტორად (მუცელშიდა წნევის მომატება, შერთულის მიდამოს იშემიური პროცესი), მაგრამ მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ზოგჯერ ამ დაავადებებს შერთულის დამცველობითი ფუნქციაც აქვთ (ანტიკოაგულანტების სისტემატურად მიღება, მაღალი არტერიული წნევა) (30,101).

დასტურდება პირდაპირი კავშირი ოპერაციის მოცულობასა და ფისტულების განვითარებას შორის - ტრავმატიზმის ზრდა, ჩარევის ხანგრძლივობა, გაფართოებული ლიმფადენექტომია ზრდის ოპერაციის შემდგომი ფისტულების ჩამოყალიბების ალბათობას. ოპერაციის ხანგრძლივობის შესამცირებლად ლაპაროსკოპული და რობოტ-ასისტირებული რეზექციების დროს ჯირკვლის გადაკვეთა ხდება სტეპლერის საშუალებით. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს

საიმედო ჰემოსტაზს, მაგრამ არა ოპერაციის შემდგომი ფისტულის განვითარების თავიდან აცილებას. სტეპლერის გამოყენების დროს ფისტულის წარმოქმნის მიზეზი არის ქსოვილზე ზეწოლა, რასაც მივყავართ გადაკვეთის ხაზზე პარენქიმის ნეკროზამდე (30,53,88,192).

ცნობილია და მოწოდებულია პანკრეატოდიგესტიური ანასტომოზის ფორმირების 80-ზე მეტი სხვადასხვა მეთოდიკა და მოდიფიკაცია, რაც აგრეთვე მიუთითებს პრობლემის სირთულეზე და აქტუალობაზე და ასევე სათანადო „ოქროს სტანდარტის“ არარსებობაზე.

ანასტომოზის თითოეულ მეთოდს ჰყავს როგორც მხარდამჭერები, ასევე მოწინააღმდეგენი. დღესდღეობით ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდიკები: სადინარი ლორწოვანთან და ინვაგინირებული ანასტომოზები.

პანკრეატოგასტრო ანასტომოზის მომხრეები ამ სახეს თვლიან უფრო საიმედოდ კუჭის კარგი სისხლმომარაგებით და კუჭის უკანა კედლის სიახლოვით პანკრეასის ტაკვთან, რაც ამცირებს ანასტომოზის დაჭიმულობას. ამავდროულად, პანკრეატოენტერო ანასტომოზის მხარდამჭერები არგუმენტირებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ ანასტომოზების მეთოდებს შორის არსებითი განსხვავება არ არის და გართულებების მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში თანაბარია. ბოლო პერიოდში გავრცელებული კვლევები გვაჩვენებს, რომ ინვაგინაციური მეთოდით შესრულებული პანკრეატოენტერო ანასტომოზი, პანკრეატიკოენტერო ანასტომოზთან შედარებით, ხასიათდება გართულებების დაბალი მაჩვენებლით. პანკრეატოენტერო ანასტომოზის ფორმირება „აქილევსის ქუსლად“ რჩება პანკრეასზე წარმოებული ოპერაციების დროს (12,29,54,94,102,123,131,137,163,169,192).

დღემდე, საკამათო საკითხად რჩება სანაღვლე გზების დრენირების აუცილებლობა წინასაოპერაციო პერიოდში, თუმცა უკვე ბევრი ქირურგი მიესალმება ამ მეთოდის რუტინულად გამოყენებას პანკრეატოდუოდენალური რეზექციის წინა პერიოდში. ბოლო პერიოდის ლიტერატურაში უკვე გვხვდება ცნობები ენდოსკოპიურ რეტროგრადულ ბილიარულ დრენირებასთან შედარებით, პერკუტანული ტრანსპეპატური ბილიარული დრენირების დადებით მხარეზე და უპირატესობებზე (8,46)

პანკრეასის სადინრის ობსტრუქცია ხშირად გვხვდება პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ ან გადატანილი აქვთ სხვადასხვა კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი პათოლოგიები (პანკრეატიტი, პანკრეასის სადინრის და სანალვლე გზების კენჭოვანი დაავადება, სადინრის სტრიქტურა, პერიამპულარული ზონის სიმსივნე). პანკრეასის სადინრის ობსტრუქციას მივყავართ სადინრის დილატაციამდე, რაც იწვევს პანკრეასის ფერმენტების გააქტიურებას, ანთებად ცვლილებებს ჯირკვალში, რის შედეგადაც ვითარდება მწვავე პანკრეატიტი და მისი შემდომი გართულებები. გარდა ამისა კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარში მუდმივი მაღალი წნევა იწვევს აცინური უჯრედების ატროფიას, პანკრეასის კუნძულების დაზიანებას და პარენქიმის ფობროზს, რის შემდგომაც ვითარდება პანკრეასის ეგზოკრინული და ენდოკრინული უკმარისობა (38,51,100).

Mazaki and Choudhary et al (2010)-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მეტაანალიზით, პანკრეასზე ჩატარებული ოპერაციების დროს, კუჭქვეშა ჯირკვლის სადინრის სტენტირება მნიშვნელოვნად ამცირებს პანკრეატიტის განვითარების ალბათობას (34,116).

პანკრეასის სადინრის სტენტირება წარმოადგენს მკურნალობის ერთ-ერთ გავრცელებულ და მნიშვნელოვან ეტაპს, როგორც პანკრეატოენტერო ანასტომოზის ფორმირებისას, აგრეთვე სიმსივნის არარეზექტაბელური შემთხვევების დროს. ჩატარებული კლინიკური კვლევების საწყის ეტაპზე მიღებული შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ სტენტირება ამცირებს ფისტულების განვითარების მაჩვენებელს და იგი სწრაფად გახდა შემდგომი კვლევის საგანი (73,188).

პანკრეასის სადინრის დეკომპრესია ხსნის ობსტრუქციას და შესაბამის კლინიკურ სიმპტომებს, როგორიცაა ძლიერი სარტყელისებური ტკივილი მუცლის არეში, გულისრევის შეგრძნება, ციებ-ცხელება. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია ენდოსკოპიური ჩარევით - რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიით და პანკრეასის სადინარში სტენტის მოთავსებით. ეს მეთოდი წარმოადგენს მკურნალობის ეფექტურ მინიინვაზიურ პროცედურას (24,52,75,99,107,116,187). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ამ მეთოდით პროცედურის ჩატარება შეუძლებელია ალტერნატივად განიხილება პანკრეასის სადინრის ენდოსკოპიური ულტრასონოგრაფიით დრენირება და სტენტირება

(76,81,110,160,171,185). აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ მანიპულაციას, ამიტომაც პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება განიხილება, როგორც მკურნალობის ეფექტური მეთოდი იმ შემთხვევებში, როცა ენდოსკოპიური მიდგომა სადინარზე შეუძლებელია. დღესდღეობით პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც უსაფრთხო და ეფექტური პროცედურა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო პროცედურა პანკრეასის სადინრის დრენირების მიზნით და ასევე ხიდად სხვა შემდგომი საჭირო მანიპულაციების ჩასატარებლად (სადინრის სრიქტურის, ვირზუნგოლითიაზის მკურნალობა, სიმსივნის ბიოფსია და ენდოლუმინური აბლაცია) (120).

რეტროსპექტულმა კვლევებმა აჩვენა რომ, კუჭქვეშა ჯირკვლის სადინრის გარეთა დრენირებამ შესაძლებელია ეფექტურად შეამციროს პანკრეატოდუოდენალური რეზექციის შემდგომი გართულების და სიკვდილიანობის მაჩვენებელი (46,138,141,158,180,193).

პანკრეასის ფისტულის წინააღმდეგ პროფილაქტიკის გზების ძიება ქირურგებისათვის ყოველთვის იყო და რჩება აქტუალურ პრობლემად. I.Klempa et al.(1979წ)-ის მიერ, ეგზოკრინული სეკრეციის ინჰიბირების იდეა პირველად გაჟღერდა 1979 წ. დღესდღეობით ყველაზე პოპულარული გახდა სომატოსტატინის სინთეზური ანალოგი - სანდოსტატინი (ოქტეოტრიდი) (4,89).

პანკრეატოდიგესტიური ანასტომოზის ხაზის და პანკრეასის ტაკვის (დისტალური რეზექციის დროს) დამატებითი ჰერმეტიზაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ფიბრინული წებო (Tissel, Tissucol, Tachocomb). იგი იხმარება, როგორც ანასტომოზის ფორმირების დროს ნაკერების დადებისას, ასევე დასრულებული ანასტომოზის შემთხვევაში. თუმცა, ჩატარებული კლინიკური კვლევები გვაჩვენებს, რომ სასურველი ეფექტის მიღწევა წებოს გამოყენებით ვერ ხერხდება (3,103,112,127).

S.Choi et al.(2012წ)-ის ინფორმაციით დიდი ბადექონით პანკრეასის ტაკვის ან ანასტომოზის შეფუთვა ამცირებს ფისტულის გაჩენის რისკს. მაგრამ, ამავდროულად M.Tani et al.(2012წ)-ის მიერ, 2597 შემთხვევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული მეთოდი ზრდის გართულებების მაჩვენებელს (32,174).

ამგვარად, კუჭქვეშა ჯირკვლის ქირურგიაში, ოპერაციის შემდგომი ფისტულები და „იდეალური“ პანკრეატოდიგესტიური ანასტომოზის ფორმირება რჩება უმთავრეს პრობლემად, რაც საჭიროებს შემდგომ კვლევებს, მკურნალობისა და დიაგნოსტიკური მეთოდების დახვეწას, რათა შევამციროთ ოპერაციის შემდგომი გართულებებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

### კვლევის მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო კვლევის მიზანია: პანკრეასის დაავადებების დროს წარმოებული ქირურგიული პროცედურების და ოპერაციული მეთოდების ოპტიმიზაცია, მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა რეტროსპექტული კვლევა მულტიცენტრულად, სამ კლინიკაში - საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედი“, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი „ინგოროვას საუნივერსიტეტო კლინიკა“ და მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“ 2010 წლიდან 2020 წლამდე. მოიცავდა კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებებისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნის 116 ეპიზოდს და დასახულ იქნა შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. კუჭქვეშა ჯირკვლის სადინრის მინიინვაზიური პერკუტანული დრენირების ოპტიმალური მეთოდიკის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
2. ვირზუნგოლითაზის დროს მინიინვაზიური მკურნალობის მეთოდის შემუშავება და პრაქტიკაში გამოყენება;
3. პანკრეატოენტერო ანასტომოზის ახალი, მაქსიმალურად უსაფრთხო და ეფექტური მეთოდის შემუშავება და კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვა;
4. პანკრეატოდუოდენალური რეზექციის შემდგომი პოსტოპერაციული პერიოდის მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავება;
5. ახლო და შორეულ პოსტოპერაციულ პერიოდში ქირურგიული მკურნალობის შედეგების ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

## მეცნიერული სიახლე

შრომაში პირველად:

1. შემუშავებულია და დანერგილია კლინიკურ პრაქტიკაში ვირზუნგოსტომიის წარმოების პერკუტანული მინიინვაზიური მეთოდიკა;
2. შემუშავებულია და დანერგილია კლინიკურ პრაქტიკაში ვირზუნგოლითიაზის მკურნალობის მინიინვაზიური ეფექტური მეთოდიკა;
3. შემუშავებულია და დანერგილია ახალი „პირით-პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით (საავტორო მოწმობა N7412,2018წ).

### ლიტერატურული მიმოხილვა

#### ისტორიული ექსკურსი

კუჭქვეშა ჯირკვალი, იგივე პანკრეასი (pancreas) წარმოადგენს საჭმლის მომნელებელი სისტემის ჯირკვლოვან ორგანოს, რომელსაც გააჩნია, როგორც ეგზოკრინული, ასევე ენდოკრინული ფუნქციები. პანკრეასის ანატომიური აღწერა პირველად გვხვდება ძვ.წ. III საუკუნეში და სავარაუდოდ ეკუთვნის ჰეროფილეს (ძველი ბერძენი ექიმი). ტერმინი „პანკრეასი“ მოდის ბერძნული სიტყვიდან „pan“- „სულ“, „kreas“-„ხორცი“ (27,70,117).

16 საუკუნეში Vesalius-მა პანკრეასი პირველად მოიხსენია, როგორც „ჯირკვლოვანი ორგანო“ და მიიჩნევდა, რომ იგი კუჭისათვის წარმოადგენდა დამცავ ორგანოს და ასრულებდა ე.წ „ბალიშის“ ფუნქციას (27).

1642წ. პანკრეასის სადინარი აღწერილ იქნა Wirsung-ის მიერ (166).

1720წ. Vater-მა აღწერა ფატერის დვრილი (71).

1742წ. პანკრეასის დამატებითი სადინარი აღწერილ იქნა Santorini-ის მიერ (166).

1887წ. Oddi-მ აღწერა ოდის სფინქტერი (71).

მე-17 საუკუნის ბოლოს პანკრეასის ფიზიოლოგიაში გაკეთდა პირველი აღმოჩენები.

1815წ. Marcket-მა აღმოაჩინა ლიპაზა (85).

1843წ. Eberle-მ დაადგინა, რომ პანკრეასის წვენი ახდენდა ცხიმების ემულგაციას (85).

1876წ. Khune-მ აღმოაჩინა ტრიფსინი და აღწერა მისი როლი ცილების მონელებაში (85).

1869წ. Langerhans-მა პირველმა აღწერა პანკრეასის კუნძულების ქსოვილის სტრუქტურა და 1893 წ მიენიჭა „ლანგერჰანსის“ სახელწოდება (27).

1922წ. აღმოჩენილ იქნა ინსულინი (15).

1927წ. Elman-ის მიერ პლაზმის ამილაზის დონის განსაზღვრამ უდიდესი როლი ითამაშა მწვავე პანკრეატიტის დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში (27).

1928წ. Ivy-მ და Olberg-მა აღმოაჩინეს ქოლეცისტოკინინი და გამოთქვეს მოსაზრება, რომ პანკრეასის სეკრეცია რეგულირდებოდა რთული ქიმიური სასიგნალო სისტემით (122,132).

მე-19 საუკუნიდან იწყება კუჭქვეშა ჯირკვალზე წარმოებული ოპერაციების ისტორია:

1882წ. Trendelenburg-მა პანკრეასის სიმსივნის გამო პირველმა შეასრულა დისტალური პანკრეატექტომია სპლენექტომიით (189).

1898წ. Codivilla-მ შეასრულა პირველი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია 46 წლის პაციენტზე სიმსივნის გამო. ექსტირპაციის ეტაპი მოიცავდა: პანკრეასის ნაწილის, 12გოჯა ნაწლავის, კუჭისა და ნაღვლის საერთო სადინრის დისტალური ნაწილის რეზექციას. რეკონსტრუქციის ეტაპი კი: გასტროიეიუნო და ქოლეცისტოიეიუნო ანასტომოზებს „ROUX-EN-Y“ წესით, პანკრეასის ტაკვის გამოთიშვით. პაციენტი გარდაიცვალა ოპერაციიდან მეთვრამეტე დღეს სტეატორეის შედეგად განვითარებული კახექსიით (154,189).

1898წ. Halsted-მა შეასრულა პირველი წარმატებული ოპერაცია 60 წლის პაციენტზე, ფატერის დვრილის სიმსივნის, მექანიკური სიყვითლის დიაგნოზით. რეზეციირებულ იქნა 12გოჯა ნაწლავის და პანკრეასის ნაწილი. გაკეთდა

ტრანსდუოდენალური პაპილოსფინქტეროტომია, პანკრეასის სადინრისა და ნაღვლის საერთო სადინარის რეანასტომოზირება (13).

1905წ. Garre-მ ტრავმულად დაზიანებული კუჭქვეშა ჯირკვლის კაფსულა აღადგინა აბრეშუმის ნაკერებით პანკრეასის სადინრის გაკერვის გარეშე. პოსტოპერაციულ პერიოდში აღინიშნებოდა ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა, რომელიც დაიხურა ოპერაციიდან 2 თვის განმავლობაში (70).

1909წ. Kausch-მა შეასრულა ორ-ეტაპიანი ოპერაცია. 12გოჯა ნაწლავისა და პანკრეასის რეზექციისათვის გამოიყენა „კოხერის მობილიზაცია“. ოპერაცია დასრულდა პანკრეატიკოდუოდენოსტომიით. პაციენტს განუვითარდა ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა, რომელიც მაღევე დაიხურა. იგი ოპერაციიდან 9 თვის შემდგომ გარდაიცვალა ქოლანგიტის დიაგნოზით.

1914წ. Hirschel-მა ერთ-ეტაპად შეასრულა პანკრეასის თავის, ნაღვლის საერთო სადინარის დისტალური ნაწილის და 12გოჯა ნაწლავის ნაწილობრივი რეზექცია. რეკონსტრუქციის ეტაპი მოიცავდა: პანკრეასის სადინრის რეიმპლანტაციას 12გოჯა ნაწლავში, წინა გასტროენტეროსტომიას და ნაღვლის საერთო სადინრის შუნტირებას რეზინის მილის საშუალებით. ოპერაციის შემდგომ სიყვითლის ინტენსივობამ იკლო, ხოლო პაციენტი გარდაიცვალა ოპერაციიდან 1 წლის შემდგომ. სიკვდილის მიზეზი და რეზინის შუნტის ბედი უცნობი დარჩა, რადგან არ მომხდარა აუტოფსიის წარმოება (182).

1922წ. Tenani-მ ფატერის დვრილის სიმსივნის გამო წარმატებით შეასრულა ოპერაცია ორ-ეტაპად. პირველ ეტაპზე გაკეთდა: წინა გატროენტეროსტომია და ქოლედოქოდუოდენოსტომია (12გოჯა ნაწლავის ჰორიზონტალურ ნაწილზე). მეორე ეტაპზე კი: 12გოჯა ნაწლავის ნაწილისა და პანკრეასის თავის ამოკვეთა პანკრეატიკოდუოდენოსტომიით. პაციენტი მიუხედავად პოსტოპერაციული პერიოდის მძიმე მიმდინარეობისა, გამოჯანმრთელდა და იცოცხლა 3 წელი (183).

1935წ. აშშ-ში Whipple-ის ხელმძღვანელობით პირველად შესრულდა სრული დუოდენექტომია და პანკრეასის თავის რეზექცია ორ-ეტაპად. სამ პაციენტს ფატერის დვრილის სიმსივნის გამო გაუკეთდა პანკრეასის თავის და 12გოჯა ნაწლავის რადიკალური რეზექცია. პირველი პაციენტი მაღევე გარდაიცვალა ანასტომოზების უკმარისობით. დანარჩენების სიცოცხლის ხანგრძლივობამ შეადგინა 9-24 თვე, ხოლო

სიკვდილის მიზეზები გახდა ქოლანგიტი და ღვიძლის მეტასტაზური დაზიანება (184).

1940წ. Whipple-ის მიერ წარმატებულად შესრულებულ იქნა ერთ-ეტაპიანი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია პანკრეასის სიმსივნის გამო. პაციენტის ოპერაციის შემდგომმა სიცოცხლის ხანგრძლივობამ შეადგინა 9 წელი (70).

1944წ. Watson-მა პირველმა ორ-ეტაპად შეასრულა პანკრეატოდუოდენალური რეზექცია პილორუსის შენარჩუნებით (181).

1946წ. Whipple-მა გამოაქვეყნა მის მიერ შესრულებული პანკრეატოდუოდენალური რეზექციის 10 წლიანი გამოცდილების შედეგები. მან დაამტკიცა, რომ პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნეების დროს, სისხლდენის პრევენციის მიზნით, წინასაოპერაციოდ K ვიტამინის გამოყენება, სისხლის გადასხმა და ერთ-ეტაპიანი ოპერაცია იყო შედარებით უსაფრთხო, ვიდრე ორ-ეტაპიანი პროცედურა (184).

1978წ. Traveso-მ და Longmire-მა ერთ-ეტაპად შეასრულეს პანკრეატოდუოდენალური რეზექცია პილორუსის შენარჩუნებით (177).

1992წ. Cuschieri-მა შეასრულა პირველი ლაპაროსკოპული დისტალური პანკრეატექტომია და სპლენექტომია ქრონიკული პანკრეატიტის გამო (40).

1994წ. Gagner-მა და Pomp-მა შეასრულეს პირველი ლაპაროსკოპული პანკრეატოდუოდენექტომია პილორუსის შენარჩუნებით (58).

2001წ. Julianotti-მა შეასრულა პირველი რობოტ-ასისტირებული ლაპაროსკოპული პანკრეატოდუოდენალური რეზექცია (60).

#### პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნეები

პანკრეასის სიმსივნე ანატომიური მდებარეობის მიხედვით შესაძლებელია იყოს: თავის, სხეულისა და კუდის. პანკრეასის თავის სიმსივნე ვითარდება ზემო მეზენტერული ვენის მარჯვნივ არსებულ ნაწილში, ხოლო სხეულისა და კუდის სიმსივნეები ზემო მეზენტერული ვენის მარცხნივ ელენთის კარამდე. სიმსივნეების დაახლოებით 65% მდებარეობს პანკრეასის თავში, 15% შემთხვევაში სხეულსა და კუდში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში აღინიშნება ჯირკვლის დიფუზური

დაზიანება. რეგიონალური ლიმფური კვანძები პანკრეასის სხეულისა და კუდისათვის არის ელენთისა და პანკრეასის კუდის არეში განლაგებული ლიმფური კვანძები, პანკრეასის თავისთვის კი - ფაშვის, ღვიძლის კარისა და ჯორჯლის სისხლძარღვების გასწვრი განლაგებული ლიმფური კვანძები (2,62,46,133).

პერიამპულარული ზონის სიმსივნე კრებითი ტერმინია, რომელიც აერთიანებს სიმსივნეებს, რომლებიც ვითარდება ფატერის დვრილიდან 2 სმ-ის მიდამოში და მოიცავს: პანკრეასის თავს; ნაღვლის საერთო სადინრის დისტალურ ნაწილს; ფატერის დვრილის ამპულარულ ნაწილს და 12გოჯა ნაწლავს. პერიამპულარული ზონის სიმსივნის 50%-ზე მეტი პანკრეასის თავის კიბოა.

რეგიონალურ ლიმფურ კვანძებს მიეკუთვნება პანკრეასის თავისა და ტანის ზემო და ქვემო, წინა და უკანა პანკრეატოდუოდენური, პილორული, პროქსიმალური მეზენტერული, ნაღვლის საერთო სადინარის გარშემო არსებული ლიმფური კვანძები (2,138,141,158).

### **დაავადების გავრცელება და სიკვდილიანობა**

2014 წ. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო სიკვდილიანობის მაჩვენებლით ევროპის ქვეყნებში მეოთხე ადგილს იკავებს. მამაკაცებში ფილტვის, კოლორექტალური და პროსტატის სიმსივნეების, ხოლო ქალებში ძუძუს, კოლორექტალური და ფილტვის კიბოს შემდეგ (111). პანკრეასის სიმსივნის დროს ოპერაციის შემდგომი სიცოცხლის 5 წლიანი მაჩვენებელი 5%, ბოლო 20 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა.


დაავადების გამომწვევი ფაქტორების შესწავლისა და დაგნოსტიკური საშუალებების განვითარების მიუხედავად პანკრეასის სიმსივნის ახალი შემთხვევები საგრძნობლად მატულობს მთელს მხოფლიოში. დაავადების სიკვდილიანობა იზრდება ევროპაშიც. 2009წ ფიქსირდებოდა 75439, ხოლო 2014წ 82300 სიკვდილიანობის შემთხვევა (47,111,180).

მსოფლიოში პანკრეასის სიმსივნის გავრცელება სხვადასხვაა და დამოკიდებულია რეგიონზე და მის მოსახლეობაზე (სურათი 1). 2018წ პანკრეასის სიმსივნის 458918 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც სიმსივნეების საერთო მაჩვენებლის 2,5% წარმოადგენს. დაავადების გავრცელების ყველაზე მაღალი

მაჩვენებელი არის ევროპაში - 7,7 – 100000 მოსახლეზე, ჩრდილოეთ ამერიკა - 7.6 – 100000 მოსახლეზე, ოკეანეთი - 6,4 – 100000. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება აფრიკაში - 2,2 – 100000. დაავადების გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (უნგრეთი 10.8) 30 ჯერ აღემატება დაბალ მაჩვენებელს (გვინეა 0.35) (25).

სურათი 1: მსოფლიოში პანკრეასის სიმსივნის გავრცელება.

Estimated age-standardized incidence rates (World) in 2018, pancreas, both sexes, all ages




დაავადების მაჩვენებლის სიხშირე ორივე სქესში იზრდება ასაკთან ერთად, თუმცა ქალებში შედარებით ნაკლებად ვხვდებით ვიდრე მამაკაცებში. პანკრეასის სიმსივნის დიაგნოსტირება ძირითადად ხდება 65-75 წ ასაკში, 55წ-მდე ასაკში კი ძალიან იშვიათად (23,25,159).

პანკრეასის სიმსივნის სიკვდილიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ამ დაავადებით 2018წ სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში - 7,6 – 100000 მოსახლეზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - 7,3, ჩრდილოეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში თანაბრად - 6,5 (სურათი 2). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში - 1,4, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და დასავლეთ აფრიკაში - 2,1. პანკრეასის სიმსივნით

სიკვდილიანობის უმაღლესი და უმცირესი მაჩვენებლები 30 ჯერ განსხვავებულია (ურუგვაი 9,9 - გვინეა 0,32).

სიკვდილიანობა როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იზრდება ასაკთან ერთად და 55 წლის ზემოთ ასაკის პაციენტებში ლეტალური გამოსავალი ფიქსირდება დაახლოებით 90%-ში (სურათი 2) (25).

სურათი 2: პანკრეასის სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი.



პანკრეასის სიმსივნის ყველა შემთხვევა არის ინდივიდუალური და გამოსავლის პროგნოზირება დიდ სირთულეს წარმოადგენს. კლინიკური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანის, მათ შორის პანკრეასის სიმსივნის არსებობის შემთხვევაში, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 5 წელს. 2014 – 2018 წწ მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი პანკრეასის სიმსივნის დროს შემცირდა, რაც მეტყველებს დაავადების პროგრესზე და აუცილებლობაზე გაუმჯობესდეს აღნიშნული მაჩვენებელი, რადგან დღესდღეობით პანკრეასის სიმსივნე კვლავაც გამოირჩევა დაავადების მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლითა და გავრცელების სიხშირით (25).

## დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი

პანკრეასის კიბოს განვითარებაში გამოყოფენ ენდოგენურ და ეგზოგენურ რისკ-ფაქტორებს (47,108,119).

პანკრეასის კიბოს შემთხვევების 5-10% განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით, ხოლო მთავარი რისკფაქტორებს წარმოადგენს თამბაქოს მოხმარება, *Helicobacter pylori* და კვებასთან დაკავშირებული ფაქტორები (სხეულის მასის ინდექსი, დიაბეტი, ხორცისა და ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა, კვების რაციონში ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობის შემცირება).

ზოგიერთი დაავადების არსებობა (ქრონიკული პანკრეატიტი) წარმოადგენს სიმსივნის განვითარების რისკ-ფაქტორს, თუმცა თავის მხრივ ეს დაავადება შესაძლოა გამოწვეული იყოს ისეთი ეგზოგენური ფაქტორებით (ალკოჰოლის მიღება), რომელიც თავისთავად კავშირშია სიმსივნის განვითარებასთან (95,96,172,173,191,193). ბოლო ათწლეულებში დაგროვილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ ქრონიკული პანკრეატიტი ხასიათდება სიმსივნის განვითარების მაღალი რისკით. ასეთი პაციენტების 1,8%-ში შესაძლებელია სიმსივნე განვითარდეს 10, ხოლო 4%-ში 20 წლის განმავლობაში (48,49,69,105,143).

## დაავადების კლასიფიკაცია

პანკრეასის სიმსივნე ვითარდება ჯირკვლის, როგორც ეგზოკრინული (95%), ასევე ენდოკრინული ქსოვილიდან (5%). სიმსივნეების 85%-ში გვხვდება პანკრეასის სადინრის ქსოვილიდან განვითარებული ადენოკარცინომა (2,68,125)

პანკრეასის ავთვისებიანი სიმსივნეების კლასიფიკაცია ჰისტოლოგიური ტიპის მიხედვით (1,2,146):

- ❖ დუქტური ადენოკარცინომა
- მუცინური არაცისტური კარცინომა;
- ბეჭდისებრ-უჯრედოვანი კარცინომა;
- ადენოსქვამოზური (ჯირკვლოვან ბრტყელუჯრედოვანი) კარცინომა;
- არადიფერენცირებული (ანაპლაზიური) კარცინომა;


- არადიფერენცირებული კარცინომა ოსტეოკლასტის მსგავსი გიგანტური უჯრედებით;
- შერეული დუქტურ-ენდოკრინული (სადინოვან-ენდოკრინული) კარცინომა.
- ❖ მაღალი ხარისხის ნეიროენდოკრინული კარცინომა
- მსხვილუჯრედოვანი ნეიროენდოკრინული კარცინომა;
- წვრილუჯრედოვანი ნეიროენდოკრინული კარცინომა.
- ❖ სეროზული ცისტადენოკარცინომა
- ❖ მუცინური ცისტადენოკარცინომა
- არაინვაზიური;
- ინვაზიური;
- ❖ ინტრადუქტური (სადინარშიდა) პაპილურ-მუცინური კარცინომა
- არაინვაზიური;
- ინვაზიური (პაპილურ-მუცინური კარცინომა).
- ❖ აცინურ უჯრედული კარცინომა
- აცინურ უჯრედული ცისტადენომოკარცინომა;
- შერეული აცინურ-ენდოკრინული კარცინომა;
- ❖ პანკრეატობლასტომა
- ❖ სოლიდური ფსევდოპაპილარული კარცინომა.

პანკრეასის ავთვისებიანი სიმსივნეების TNM კლასიფიკაცია პირველადი სიმსივნე (pT):


- pTX: პირველადი სიმსივნის არსებობა უცნობია;
- pT0: პირველადი სიმსივნე არ ვლინდება;
- pTis: კარცინომა *in situ*;
- pT1: სიმსივნე ვლინდება პანკრეასში, 2 სმ ზომით ან ნაკლები (სურათი 3);
- pT2: სიმსივნე ვლინდება პანკრეასში, 2 სმ ან 2სმ-ზე მეტი ზომით (სურათი 3);
- pT3: სიმსივნე ვრცელდება პანკრეასის გარეთ, მაგრამ არა ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში (სურათი 4ა, სურათი 4ბ, სურათი 4გ);

—pT4: სიმსივნე ვრცელდება ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში (სურათი 5).


სურათი 3: სიმსივნე პანკრეასში.




სურათი 4ა: სიმსივნე პანკრეასის გარეთ, მაგრამ არა ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში.




სურათი 4ბ: სიმსივნე პანკრეასის გარეთ, მაგრამ არა ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში.



სურათი 4გ: სიმსივნე პანკრეასის გარეთ, მაგრამ არა ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში.




სურათი 5: სიმსივნე ვრცელდება ფაშვის არტერიასა და ზედა მეზენტერულ არტერიაში.




რეგიონული ლიმფური კვანძები (pN) (სურათი 6ა, 6ბ):

- pNX: რეგიონული ლიმფური კვანძების შეფასება შეუძლებელია;
- pN0: რეგიონულ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზები არ ვლინდება;
- pN1: მეტასტაზები რეგიონულ ლიმფურ კვანძებში.

სურათი 6ა : რეგიონული ლიმფური კვანძები.



სურათი 6ბ: რეგიონული ლიმფური კვანძები.



შორეული მეტასტაზები (pM):

— pMX: შორეული მეტასტაზების შეფასება შეუძლებელია;

— pM1: ვლინდება შორეული მეტასტაზები.

ჰისტოლოგიური გრადაცია:

Gx – დიფერენციაციის ხარისხის შესაფასებლად საკმარისი მონაცემები არ არის;

G1 – მაღალდიფერენცირებული;

G2 – საშუალოდ დიფერენცირებული;

G3 – დაბალდიფერენცირებული;

G3 – არადიფერენცირებული.

რეზექტაბელურობის მიხედვით:

რეზექტაბელური;

მოსაზღვრე რეზექტაბელური;

არარეზექტაბელური.

## დაავადების კლინიკური სურათი

დაავადების კლინიკური სურათი მეტად მრავაფეროვანია. პერიამპულარული ზონის სიმსივნის წამყვანი კლინიკური სიმპტომია მექანიკური სიყვითლე (60-80%). სანაღვლე გზების ობსტრუქციის სიმპტომები სიმსივნის სანაღვლე სადინარში, პანკრეასის თავსა და დიდ დუოდენურ დვრილში ლოკალიზაციის ნიშანია (2,95,148,152).

პაციენტები უმეტესად სამედიცინო დახმარებისთვის ექიმებს მიმართავენ სიყვითლის გამოვლენამდე დიდი ხნით ადრე. დაავადების ამ ეტაპზე სიმპტომები მეტად მრავალფეროვანია. უმეტესწილად იგი განისაზღვრება ფონური და თანმდევი დაავადებებით (პანკრეატიტი, ნაღველკენჭოვანი დაავადება). სიმსივნე შესაძლებელია ჩაიზარდოს 12გოჯა ნაწლავის სანათურში და გამოიწვიოს მისი ობსტრუქცია.

კუჭქვეშა ჯირკვლის სხეულსა და კუდში არსებული სიმსივნეების დიაგნოსტირება ხდება შედარებით გვიან, ვიდრე პანკრეასის თავში არსებულის, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ძირითადად ვლინდება სანაღვლე და/ან პანკრეასის სადინრის დახშობასთან დაკავშირებული სიმტომები, ხოლო ჯირკვლის სხეულისა და კუდის სიმსივნის ყველაზე ხშირი და ზოგჯერ ერთადერთი კლინიკური გამოვლინება გამოხატული ტკივილის სინდრომია.

ამ პათოლოგიების ან გართულებების სიმპტომები იმდენად მკაფიოდაა გამოხატული, რომ ხშირად ამბულატორიულ ეტაპზე განაპირობებს საექიმო შეცდომებს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა: პაციენტის მდგომარეობის აუქსნელი მუდმივი გაუარესება, მდგრადი ტკივილი მუცლის ზედა ნაწილში, სხეულის მასის დაკლება, ციებ-ცხელება, აქოლიური განავალი, შარდის გამუქება, სტეატორეა, ახლად აღმოცენებული დიაბეტი. მათი არსებობისას აუცილებელია პაციენტის საგულდაგულო კვლევა საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავთვისებიანი წარმონაქმნების გამოსარიცხად (2,10,47,139,148).

## დაავადების დიაგნოსტიკა


დაავადების დიაგნოსტირებისას აუცილებელია დაზუსტდეს სიმსივნის ხასიათი, ლოკალიზაცია, ზომები, შეფარდება მიმდებარე ანატომიურ სტრუქტურებთან, რეგიონული და შორეული მეტასტაზების არსებობა. კუჭქვეშა ჯირკვლისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნურ დაავადებას ადრეულ (I,II) სტადიაში ნაკლებად ახასიათებს შესაბამისი სიმპტომები და დიაგნოსტიკური კვლევის მონაცემებიც ხშირად არაინფორმატიულია. დაავადების დიაგნოსტირება ძირითადად ხდება III, IV სტადიაში, როდესაც ვლინდება არასპეციფიური სიმპტომები (2,10,41,92,139,148,152,162).

ყველა პაციენტს საწყის ეტაპზე უტარდება მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა, რაც იძლევა საშუალებას 2 სმ-მდე დიამეტრის პანკრეასის და პერიამპულარული ზონის სიმსივნური წარმონაქმნების გამოვლენის. აგრეთვე, შესაძლებელია განისაზღვროს ნაღვლისა და პანკრეასის სადინრის გაფართოება, პირველადი სიმსივნის გავრცელების საზღვრები და მეტასტაზირება ღვიძლში. ულტრაბგერით კვლევას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები: შედარებით ნაკლები ფასი, გამოყენების სიმარტივე, არ ახლავს სხივური დატვირთვა, თუმცა სიმსუქნე, ღვიძლის გაცხიმოვნება და ნაწლავის პნევმატოზი ხელს უშლის ვიზუალიზაციას. მეთოდის მგრძნობელობა სანაღვლე სადინრების დისტალური ნაწილის პათოლოგიების შეფასებაში აღწევს 50-90%-ს (2,47,68,93,97,134,164).

პერიამპულარული ზონის და პანკრეასის სიმსივნის დიაგნოსტიკაში აქტიურად გამოიყენება ენდოსკოპიური ულტრასონოგრაფია. იგი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სიმსივნის ლოკალიზაცია და საჭიროების შემთხვევაში ვაწარმოოთ ქსოვილის ბიოფსია, რაც ზრდის დიაგნოსტიკურ სიზუსტეს (95%). აგრეთვე საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სიმსივნური პროცესის სისხლძარღვებში ინვაზია (მგრძნობელობა 85%, სპეციფიურობა 91%) და გამოიყენება ოპერაციული მკურნალობის შესაფასებლად (მგრძნობელობა 90%, სპეციფიურობა 86%). უახლესმა კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ენდოსკოპიურ ულტრაბგერით კვლევას შეზღუდული შესაძლებლობა აქვს ყველა მეტასტაზურად დაზიანებული ჯირკვლის აღმოსაჩენად (მგრძნობელობა 69%, სპეციფიურობა 81%) (47,66,124,167).

დუოდენოსკოპია და ენდოსკოპიური რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია საშუალებას იძლევა შეფასდეს ფატერის დვრილის, ნაღვლისა და პანკრეასის სადინორების მდგომარეობა, შესრულდეს სიმსივნის ბიოფსია, ჩატარდეს სადინორების დეკომპრესია (2,79,106,179) (სურათი 7).

სურათი 7: ფატერის დვრილის სიმსივნური წარმონაქმნი.



დაავადების დიაგნოსტიკაში რადიოლოგიური კვლევებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპიუტერულ ტომოგრაფიასა და მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას. კომპიუტერული ტომოგრაფია, იძლევა საშუალებას 95%-თ განისაზღვროს სიმსივნური პროცესის ლოკალიზაცია, მისი გავრცელება ირგვლივმდებარე ქსოვილებში და შორეული მეტასტაზირება, რათა ზუსტად დადგინდეს დაავადების სტადია. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მნიშვნელოვან მეთოდს. მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა და მაგნიტორეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია გვეხმარება გამოვავლინოთ ღვიძლის მეტასტაური დაზიანება, პანკრეასის კისტოზური წარმონაქმნები და სანაღვლე გზების დაავადებები, რომლებიც შესაძლებელია არ გამოვლინდეს კომპიუტერული კვლევით. ენდოსკოპიული რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიისგან განსხვავებით, მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიის მგრძნობელობა სანაღვლე გზების ობსტრუქციის

დიაგნოსტიკაში აღწევს 91%-ს, სპეციფიურობა 100%-ს, ხოლო დიაგნოსტიკის სიზუსტე 94%-ს (სურათი 8) (41,47,57,97,114,149,153).

სურათი 8: მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიოპანკრეატოგრაფია.



დიაგნოზის დასაზუსტებლად და შემდგომი მონიტორინგისთვის გარკვეული როლი შეიძლება შეასრულოს სისხლის იმუნოლოგიურმა, ბიოქიმიურმა და ბიოპტიატის იმუნოპოქიმიურმა კვლევამ (CEA-ს, α-ფეტოპროტეინის, CA 125-ის, CA 19-9-ის, CA50-ის, რიბონუკლეაზის, ამილაზის, ტუტე ფოსფატაზის, კალციტონინის განსაზღვრამ). პანკრეასის სიმსივნის პირველად დიაგნოსტიკაში CA 19-9 არ გამოიყენება. იგი კორელაციაშია ბილირუბინის რაოდენობასთან და ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ქოლესტაზის დროს შესაძლებელია მოგვცეს ცრუ დადებითი რეზულტატი. CA 19-9 შეიძლება დაგვეხმაროს დიაგნოზის დაზუსტებაში, დაავადების სიმძიმის განსაზღვრაში და/ან ოპერაციის შემდგომი რეციდივების დიაგნოსტიკაში (2,21,47,63,150,175,178).

## მკურნალობის მეთოდები

დღესდღეობით, პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის ავთვისებიანი რეზექტაბელური სიმსივნეების დროს ოპერაციული ჩარევა იძლევა მკურნალობის და განკურნების ერთადერთ და საუკეთესო შანსს. ოპერაციის მთავარი ამოცანაა შესრულდეს სიმსივნის რეზექცია საღი ქსოვილის ფარგლებში (R0) (11,22,86,135).

კარის ვენის რეზექციის წარმოებამ შეამცირა იმ სიმსივნური შემთხვევების რაოდენობა, რომლებიც ადრე არარეზექტაბელურ შემთხვევად აღიქმებოდა. დღეს კარის ვენაში სიმსვნური პროცესის ჩაზრდა აღარ მიიჩნევა ოპერაციის უკუჩვენებად. კუჭვეშა ჯირკვლის სიმსივნური დაავადებისას გაფართოებული ლიმფადენექტომიის წარმოების შედეგების მაჩვენებელი არ არის გაუმჯობესებული (35,74,109,118).

პანკრეასისა და პერიამპულარული ზონაში სიმსივნის ლოკალიზაციის მიხედვით ატარებენ რადიკალური ოპერაციების რამოდენიმე ვარიანტს.

პანკრეასის თავსა და პერიამპულარული ზონის რეზექტაბელური სიმსივნის შემთხვევაში, პანკრეატოდუოდენალური რეზექცია (Whipple ოპერაცია), წარმოადგენს მკურნალობის ძირითად ქირურგიულ მეთოდს, რომლის დროსაც კეთდება ნაღვლის ბუშტის, ნაღვლის საერთო სადინრის, 12გოჯა ნაწლავის, კუჭის დისტალური ნაწილისა და პანკრეასის თავის რეზექცია. ამ მეთოდის ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება პანკრეატოდუოდენალური რეზექცია პილორუსის შენარჩუნებით. ზემოთაღნიშნული მეთოდები მსგავსია, როგორც ტექნიკურად, ასევე დაავადების გამოსავლით (11,72,78,82,87,109,113).

რეკონსტრუქციის ეტაპი მოიცავს სამ ანასტომოზს: ჰეპატიკოიეიუნო, გასტრო ან დუოდენოიეიუნო და პანკრეატოიეიუნო ან პანკრეატოგასტრო ანასტომოზებს.

ცნობილია და მოწოდებულია პანკრეატოიეიუნო ანასტომოზის ფორმირების 80-ზე მეტი სხვადასხვა მეთოდიკა და მოდიფიკაცია. დღესდღეობით ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდიკები: სადინარი-ლორწოვანთან, ინვაგინირებული პანკრეატიკოიეიუნო და პანკრეატოიეუნო ანასტომოზების წარმოება „პირით-პირში“ და „პირით-გვერდში“ ფორმირებით.

პანკრეასის სხეულისა და კუდის სიმსივნურ დაზიანებას, სხვა ლოკაციის სიმსივნეებთან შედარებით იშვიათად ვხვდებით და ასოცირებულია ცუდ პროგნოზთან დაავადების გვიან ეტაპზე დიაგნოსტიკისა და კლინიკური გამოვლინების (ობსტრუქციული სიმპტომების არარსებობა) გამო. კლინიკური სიმპტომების გამოვლენამდე კი სიმსივნე ხშირად აღწევს დიდ ზომას. ამავდროულად, ხდება სიმსივნური პროცესის ჩაზრდა მეზობელ ორგანოებში და სისხლძარღვებში. რეზუქტაბელურ შემთხვევაში კეთდება დისტალური პანკრეატიქტომია, ძირითადად სპლენექტომიასთან ერთად (56,61,98,170).

ტოტალური პანკრეატიქტომია სრულდება მაშინ, როდესაც სიმსივნე პანკრეასის თავს და სხეულს აზიანებს. სამწუხაროდ, ეს ოპერაცია იშვიათად ტარდება, რადგან ასეთი სიმსივნეები პრაქტიკულად ყოველთვის ჩაზრდილია მაგისტრალურ არტერიებსა და ვენებში ან აქვს შორეული მეტასტაზები (2,42,148,152,156,157).

სამედიცინო აპარატურული და ინსტრუმენტული ტექნიკის განვითარებასთან ერთად პანკრეასის ქირურგიაში ვითარდება ლაპაროსკოპული და რობოტ-ასისტირებული მინიონვაზიური ჩარევის ტექნიკაც. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდი ხასიათდება პოსტოპერაციული გართულებების დაბალი მაჩვენებლით, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების დროს, მაგრამ არსებული შედეგი მიღებულია პაციენტთა მცირე ჯგუფზე, რაც საჭიროებს კვლევის გაგრძელებას და გაღრმავებას მეტი სარწმუნოებისათვის. ამიტომ, პანკრეასის ქირურგიაში ჯერ კიდევ „ოქროს სტანდარტად“ და არჩევის მეთოდად რჩება ოპერაციული მკურნალობა ღია ქირურგიული წესით (90,126,136,145).

პალიატიური ჩარევა - აღნიშნული ჩარევა პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის სიმსივნეების შემთხვევათა დაახლოებით 80% ესაჭიროება და მიმართულია ობტურაციული სიყვითლის, ტკივილის, 12გოჯა ნაწლავის გაუვალობის ლიკავიდაციისაკენ. მისი არსია შემოვლითი გზების შექმნა ნაღვლის, პანკრეასის წვენისა და კუჭის შიგთავსის პასაჟისათვის (2,10,79,92,139).

ქიმიოთერაპიას ატარებენ გავრცელებული სიმსივნური პროცესის მქონე პაციენტებთან ან რადიკალური და პალიატიური ოპერაციების შემდეგ თერაპიის

სხვადასხვა მეთოდებთან კომბინაციაში. ყველაზე უფრო გავრცელებული თერაპიის სქემებში შედის ფლუოროურაცილი, მიტომიცინი, დოქსორუბიცინი, გემციტაბინი, რომელთაც გააჩნიათ საკმაოდ მაღალი სამკურნალო ეფექტი პანკრეასის გავრცელებული კიბოს დროს. ქიმიოთერაპია პანკრეასის არარეზექტაბელური სიმსივნის დროს იძლევა ნაწილობრივი რემისიის მიღწევის საშუალებას შემთხვევათა 14%-ში, პროცესის სტაბილიზაციის დროს - 16%-ში, მიუხედავად ამისა 1-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა IV სტადიის სიმსივნის დროს ქიმიოთერაპიის ფონზე არ აღემატება 30%-ს (2,47,64,67,165).

### ვირზუნგოლითიაზი

ვირზუნგოლითიაზი წარმოადგენს დაავადებას, რომელიც ვითარდება ქრონიკული პანკრეატიტის შედეგად.

ქრონიკული პანკრეატიტის ეტიოლოგიური ფაქტორები მრავალფეროვანია. დაავადება ხასიათდება პროგრესირებადი და შეუქცევადი ცვლილებებით, რაც ზეგავლენას ახდენს კლჰკვეშა ჯირკვლის, როგორც ეგზოკრინულ, ასევე ენდოკრინულ ფუნქციონირებაზე. დაავადებას თან ახლავს მუდმივი ან ეპიზოდური ხასიათის ტკივილი, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს ცხოვრების ხარისხს (95,173).

ქრონიკული პანკრეატიტის უკვე ცნობილ ეტიოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება: ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარება, გენეტიკური ფაქტორები, მეტაბოლური დარღვევები და იმუნური სისტემის დეფექტები. თუ ინდუსტრიულ ქვეყნებში ყველაზე გავრცელებულ ფაქტორს ალკოჰოლის მიღება წარმოადგენს, ზოგიერთ ქვეყანაში უხშირესად გვხვდება არაალკოჰოლური, იდიოპათიური პანკრეატიტი (14,20,172).

ქრონიკული პანკრეატიტის შედეგად განვითარებული ვირზუნგოლითიაზი შემთხვევათა დაახლოებით 50%-ში გვხვდება. სწორედ კონკრემენტები წარმოქმნის და აძლიერებს ქრონიკული პანკრეატიტისათვის დამახასითებელ შემაწუხებელ ტკივილს, რაც გამოწვეულია კონკრემენტებით პანკრეასის სადინარის ობსტრუქციით, წნევის მატებით სადინარში და შემდგომ უკვე ჯირკვლის პარენქიმაში. მკურნალობა ენდოსკოპური იქნება, თუ ქირურგიული, ორივე

შემთხვევაში ხდება სადინრის კონკრეტულისაგან გათავისუფლება, რაც იწვევს სადინარშიდა წნევის შემცირებას. შესაბამისად მცირდება ტკივილი და უმჯობესდება პაციენტის ცხოვრების ხარისხი (28,84,130,147).

კუჭქვეშა ჯირკვლის სადინრის კონკრეტულის კლასიფიკაცია ხორციელდება მათი შემადგენლობის, რაოდენობისა და ლოკალიზაციის მიხედვით. ისინი შეიძლება იყოს: რენტგენკონტრასტული, არაკონტრასტული და შერეული შენების. ერთი ან მრავლობითი. განლაგების მიხედვით: მთავარ სადინარში, სადინრის ტოტებში ან პარენქიმაში. მდებარეობის მიხედვით: კუჭუკანა ჯირკვლის თავში, სხეულში ან კუდში. აღსანიშნავია რომ არაალკოჰოლური და იდიოპათიური ვირზუნგოლითიაზისათვის დამახასიათებელია უფრო დიდი ზომის კონკრეტულის არსებობა, ვიდრე ალკოჰოლურისათვის (172).

ლითოსტატინი დიდ როლს თამაშობს ვირზუნგოლითიაზის ჩამოყალიბებაში. მისი რაოდენობა მკვეთრად მატულობს პანკრეასის ქრონიკული დაავადებების დროს. ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია კალციუმის კარბონატის (CACO<sub>3</sub>) დაგროვებას ანთების კერაში (77,84).

მუცლის ღრუს ექლოსკოპიას წამყვანი როლი უკავია დაავადების დიაგნოსტიკაში. აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და ენდოსკოპიური რეტროგრადული პანკრეატოქოლანგიოგრაფია (173).

ოპერაციული მკურნალობის (მინიინვაზიური და ღია ოპერაციული გზით), არსი მდგომარეობს კუჭუკანა ჯირკვლის სადინრის გამავლობის აღდგენაში. დღესდღეობით, ენდოსკოპიური რეტროგრადული პანკრეატოქოლანგიოგრაფია სფინქტეროტომით, არჩევის მეთოდს წარმოადგენს ვირზუნგოლითიაზის მკურნალობისას (115,173).

## კვლევის მეთოდები და მასალა

სადისერტაციო კვლევა ჩატარდა 2010-2020 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის

ბაზაზე. შესწავლილ იქნა 116 პაციენტი კუჭუკანა ჯირკვლის სხვადახვა ქირურგიული დაავადებით.

შეიქმნა ორი კლინიკური ჯგუფი: I ჯგუფი – 39 პაციენტი, რომლებსაც ჩატარდათ ოპერაციული მკურნალობა პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის დაავადებების გამო და II ჯგუფი - 77 პაციენტი, რომლებსაც, პანკრეატიტის და დილატირებული პანკრეასის სადინრის (>2მმ) გამო, გაუკეთდა ვირზუნგის სადინრის დრენირება ულტრაბგერითი რენტგენოსკოპული ან კომპიუტერული ტომოგრაფიით და რენტგენოსკოპული კონტროლით. კვლევაში მონაწილე პაციენტებიდან შესწავლილ იქნა პანკრეასის დაავადების გავრცელება, მისი სპეციფიკური კლინიკური გამოვლინება და თავისებურებანი. გაკეთდა პაციენტებში ახლო და შორეული რეზულტატების მონაცემების შეფასება და შედარება.

სადისერტაციო კვლევა ჩატარდა ავადმყოფობის ისტორიის, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების შედეგების, კლინიკური მონაცემების შესაბამისი ანალიზით, რაც ჩატარებულ იქნა როგორც კვლევის ეტაპზე, ასევე ოპერაციის შემდგომ. წარმოებულ იქნა პაციენტების ანკეტირება, სადაც თავმოყრილ იქნა ყველა ზემოთ მოცემული მონაცემების შედეგები.

### კვლევის დიზაინი

სადისერტაციო კვლევა წარმოებულია რეტროსპექტულად, მულტიცენტრულად, სამ კლინიკაში - საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედი“, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი „ინგოროვას საუნივერსიტეტო კლინიკა“ და მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“ 2010-დან 2020-მდე.

ჩართვის კრიტერიუმებს წარმოადგენდა: ორივე სქესის პაციენტები, რომლებმაც მომართეს კლინიკებს პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებით. I ჯგუფს ჩატარდა ოპერაციული მკურნალობა (ლაპაროტომიული წესით), ხოლო II ჯგუფს მინიინვაზიური ჩარევა - ვირზუნგოსტომია (პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება

ულტრაბგერითი რენტგენოსკოპული ან კომპიუტერული ტომოგრაფიით და რენტგენოსკოპული კონტროლით).

დაავადების დიაგნოსტიკა ხდებოდა ინსტრუმენტული, კლინიკო-ლაბორატორიული და საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის მონაცემების შეჯამების საფუძველზე.

გამოთიშვის კრიტერიუმები იყო: I ჯგუფში - წინასაოპერაციო კვლევის პერიოდში დადგენილი არარეზექტაბელური შემთხვევა ან თანმხლები დაავადებით განპირობებული პაციენტის მძიმე მდგომარეობა. II ჯგუფში არადილატირებული პანკრეასის საერთო სადინარი (<2მ), არაკორეგირებადი კოაგულოპათია ან პანკრეასის სადინარზე უსაფრთხო მიდგომის გზის არარსებობა.

შედეგები:

სადისერტაციო ნაშრომის შედეგები გამოვლინდა დასკვნის სახით, რაც მიღწეული იქნა კვლევის დისკუსიის, კონკრეტული პაციენტების რაოდენობის, მათი პროცენტული მაჩვენებლის, საერთაშორისო ლიტერატური მიმოხილვის და ექსპერტთა დასკვნების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის სტრუქტურა:

ნაშრომი მოიცავს 5 თავს, 102 გვერდს, 2 ცხრილს, 63 სურათს. სადისერტაციო ნაშრომში ლიტერატურულ წყაროებად წარმოდგენილია მსოფლიოს მონაცემები, შეფასებულია უახლესი რანდომიზირებული და კოპორტული კვლევების შედეგები, მკურნალობის მეტაანალიზები, თანამედროვე გაიდლაინები და პროტოკოლები. განხილულია დასავლეთ ქვეყნების ექსპერტა აზრები.

### პაციენტების კლინიკური დახასიათება

კვლევაში მონაწილეობდა 116 პაციენტი. შეიქმნა ორი კლინიკური ჯგუფი: I ჯგუფი – 39 პაციენტი, რომლებსაც ჩაუტარდათ ოპერაციული მკურნალობა პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის დაავადებების გამო და II ჯგუფი – 77 პაციენტი, რომლებსაც პანკრეატიტის და დილატირებული პანკრეასის სადინრის გამო გაუკეთდათ პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება ულტრაბგერითი

და რენტგენოსკოპული ან კომპიუტერული ტომოგრაფიით და რენტგენოსკოპული კონტროლით.

I ჯგუფში გაერთიანდა 39 პაციენტი. პაციენტების უმეტესობას წარმოადგენდა მამაკაცი 25 (64,1%), ქალი 14 (35,9%), საშუალო ასაკი შეადგენდა 57 წელს (43 - 78 წელი), ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა 5 სთ-ს, საწოლდღე საშუალოდ 12 დღე.

35 (89,7%) პაციენტს პერიამპულარული სიმსივნის დიაგნოზით ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა - პანკრეატოდუოდენალური რეზექცია. 1 (2,6%) პაციენტს - პანკრეასის კუდის სიმსივნის, 1 (2,6%) - პანკრეასის სადინრში ჩაყენებული სტენტის ჩაჭედვის გამო (რომელიც წარმოდგენილია თავი 4.8-ში), 2 (5,1%) - ინტრაოპერაციულად დადგენილი არარეზექტაბელური კუჭუკანა ჯირკვლის სიმსივნის გამო - პალიატიური ოპერაცია (ქოლეცისტექტომია, ჰეპატიკოეიუნოსტომია, გასტროეიუნოსტომია ROUX-EN-Y-ით).

პერიამპულარული ზონის სიმსივნის დიაგნოზის მქონე 35 პაციენტიდან 18 (51,4%) შემთხვევაში აღინიშნებოდა პანკრეასის თავის, 16 (45,7%) შემთხვევში ფატერის დვრილის, ხოლო 1 (2,9%) შემთხვევაში ნაღვლის საერთო სადინრის დისტალური ნაწილის სიმსივნის დიაგნოზი. 34 (97,1%) შემთხვევაში შესრულებულ იქნა პანკრეატოეიუნოსტომია, 1 (2,9%) შემთხვევაში - პანკრეატოგასტროსტომია. 20 (57,1%) შემთხვევაში გაკეთდა „კლასიკური“ პანკრეატოდუოდენალური რეზექცია (Whippe-ის ოპერაცია), 15 (42,9%) შემთხვევაში მისი მოდიფიცირებული ვარიანტი - პილორუსის შემანარჩუნებელი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია.

ოპერაციამდე 2-3 კვირით ადრე ვაწარმოებდით პანკრეატობილიარული ზონის დეკომპრესიას. შესრულდა: 18 შემთხვევაში - პერკუტანული ბილიარული დრენირება, ხოლო 12 შემთხვევაში ორივე, როგორც ბილიარული ასევე პანკრეასის სადინრის დრენირება (პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება 8, ხოლო ინტრაოპერაციულად ტრანსპანკრეასულად 4 შემთხვევაში) და გამოყენებულ იქნა როგორც ტრანსანასტომოზური (ჰეპატიკოენტერო და პანკრეატოენტერო ანასტომოზები) სტენტი. 8 შემთხვევაში გაკეთდა ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაზიირებული პანკრეატოეიუნო ანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით; 4 შემთხვევაში ინტრაოპერაციულად პანკრეასის სადინრიდან გაკეთდა ტრანსპანკრეასული

დრენირება. კვლევის საწყის ეტაპზე 6 შემთხვევაში ინტრაოპერაციულად გამოყენებულ იქნა დაკარგული სტენტი, 5 შემთხვევაში წინასაოპერაციო პერიოდში გაკეთდა ფატერის დვრილის ენდოსკოპიური სტენტირება (ელასტიური სტენტის გამოყენებით).

პანკრეასის სადინარში ჩაჭედილი სტენტის ამოღების, პანკრეატოდუოდენალური და დისტალური რეზექციის 37 შემთხვევიდან 7 (18,9%) პაციენტში აღინიშნა გართულების 11 შემთხვევა. პანკრეასული ანასტომოზის უკმარისობა აბსცესის ფორმირებით - 4 შემთხვევა, რომელიც კორეგირებულ იქნა აბსცესის ღრუს პერკუტანული დრენირებით. ევენტერაციის - 2, აროზიული სისხლდენის -1 (რეინტერვენცია - პანკრეატექტომია), ჰემორაგიული პანკრეატიტის - 1 (რეინტერვენცია) და ქირურგიული ინფექციის - 3 შემთხვევა. აღსაღნიშნავია, რომ ეს გართულებები განვითარდა კვლევის საწყის ეტაპზე. იმ შემთხვევებში, რომლებშიც არ იყო გამოყენებული ჩვენს მიერ შემუშავებული ანასტომოზი და პანკრეატობილიარული ზონის პერკუტანული დრენირება. 2 შემთხვევაში ანასტომოზის მიდამოდან განვითარდა ე.წ „ბიოქიმიური გაუონვა“, კლინიკურად უმნიშვნელო და უსიმპტომო მიმდინარეობით (რაც დადასტურდა ლაბორატორიულად, თავისუფალ მუცლის ღრუში არსებული დრენაჟიდან პანკრეასის წვენის არსებობით), რომლებიც არ მოითხოვდნენ ფარმაკოლოგიურ ან სხვა სახის ჩარევას.

5 (12,8%) პაციენტი გარდაიცვალა ოპერაციიდან 6 თვე - 3 წლის პერიოდში.

II ჯგუფში გაერთიანდა 77 პაციენტი, რომლებსაც გაუკეთდა პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება. ჩარევის მიზეზი 46 (59,7%) შემთხვევაში იყო პანკრეასის თავის სიმსივნე, 16 (20,7%) - ვირზუნგოლითიაზი, 7 (9,1%) - პანკრეასის სადინრის სტრიქტურა, 6 (7,8%) - ფატერის დვრილის სიმსივნე, 1 (1,4%) - მეტასტაზური დაზიანება, 1(1,4%) - პანკრეასის ფისტულა.

46 (59,7%) შემთხვევაში პროცედურა შესრულდა ულტრაბგერითი რენტგენოსკოპული კონტროლით, 26 (33,8%) - კომპიუტერული და რენტგენოსკოპული კონტროლით, 4 (5,2%) - კომპიუტერული კონტროლით, 1 (1,3%) რენტგენოსკოპული კონტროლით.

პანკრეასის სადინარში შესვლის წერტილი 56 (72,7%) შემთხვევაში იყო პანკრეასის სხეული, 15 (19,5%) - კუდი და 6 (7,8%) - ყელის არე.

18 G დიამეტრის საპუნქციო ნემსის გამოყენება მოხდა 41 (53,2%) შემთხვევაში, ხოლო 22 G დიამეტრის - 16 (20,8). კოაქსიალური ტექნიკის გამოყენებით განხორციელდა ვირზუნგის სადინრის პუნქცია 20 (26%) შემთხვევაში, აქედან 14-18 G დიამეტრის საპუნქციო ნემსები გამოყენებულ იქნა 2 (10%), 18-22 დიამეტრის - 15 (75%) და 17-18 G დიამეტრის - 3 (15%) შემთხვევაში.

ტრანსგასტრულად ვირზუნგის სადინრის დრენირება განხორციელდა 9 (11,7%), ხოლო ტრანსპეპატურად 7 (9,1%) შემთხვევაში. ჰიდროდისექცია განხორციელდა 6 (7,8%) შემთხვევაში. 1 (1,3%) შემთხვევაში პანკრეასის სადინართან მისადგომ გზად გამოყენებულ იქნა უკვე არსებული პერკუტანული ტრანსპეპატური ბილიარული კათეტერი.

### კვლევის ლაბორატორიული მეთოდები

ყველა პაციენტს ოპერაციის წინ და შემდგომ (კონტროლი) უტარდებოდა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები:

1. სისხლის საერთო ანალიზი;
2. შარდის საერთო ანალიზი;
3. სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა;
3. კოაგულოგრამა, პროთორომბინის განსაზღვრა და INR ;
4. სისხლის ბიოქიმიური ანალიზი: გლუკოზა, ბილირუბინი, ალანინამინოტრანსფერაზა (ALT), ასპარტატამინოტრანსფერაზა (AST), გამაგლუტამილტრანსფერაზა (GGT), ტუტე ფოსფატაზა (ALP), ამილაზა, შარდოვანა, კრეატინინი, კალიუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი, C - რეაქტიული ცილა;

5. კვლევა ვირუსულ ჰეპატიტზე: HbsAg, Hcv;

6. ონკომარკერი CA19-9.

ყველა პაციენტები აღინიშნებოდა მკვეთრად გამოხატული ცვლილებები ძირითადად სისხლის ბიოქიმიურ ანალიზში, კერძოდ: ჰიპერბილირუბინემია, წინასწარი დიაგნოსტირებისას საერთო ბილირუბინის მაჩვენებელი მერყეობდა 193,1

– 830 μmol/L (ნორმა <18,8), AST-124-658,8 IU/L (ნორმა <21, <25), ALT – 372 -699.1 IU/L (ნორმა <22, <29), ALP – 294 – 838 U/L (ნორმა 20-80, 30-90), GGT – 143-797 IU/L (ნორმა 5-25, 8-38), ამილაზა – 160 – 355 U/L (ნორმა <53). აღნიშნულის კორექცია ხდებოდა ოპერაციისთვის მზადების პერიოდში და უტარდებოდათ სანალვლე გზებისა და პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში, პაციენტებს უტარდებოდა თავისუფალ მუცლის ღრუში ჩადგმული დრენაჟიდან აღებულ სითხეში ამილაზას კვლევა.

### **კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები**

I ჯგუფში შემავალ 39 (100%) პაციენტს ჩაუტარდა მუცლის ღრუს ექოსკოპია, გასტროსკოპია და გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევა. 16 (41%) შემთხვევაში ჩატარდა (ფატერის დვრილის სიმსივნე) დუოდენოსკოპია, სიმსივნური წარმონაქმნის ბიოფსია. 5 (12,8%) – ენდოსკოპული რეტროგრადული პანკრეატოქოლანგიოგრაფია. 22 (56,4%) შემთხვევაში გაკეთდა მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, 17 (43,6%) – მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია (2 შემთხვევაში როგორც პტ ასევე მრტ კვლევა) (ცხრილი N2).

#### **ცხრილი N2 : კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები.**

გამოკვლევა	რაოდენობა	%
მუცლის ღრუს ექოსკოპია	39	100%
გასტროსკოპია	39	100%
გულმკერდის	39	100%
რენტგენოლოგიური კვლევა		
ენდოსკოპული რეტროგრადული პანკრეატო-ქოლანგიოგრაფია	5	12,8%
დუოდენოსკოპია, ბიოფსია	16	41%
კომპიუტერული ტომოგრაფია	17	43,6%
მაგნიტორესონანსული კვლევა პანკრეატო-ქოლანგიოგრაფიით	22	56,4%

ჩატარებული ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე 37 შემთხვევაში ზუსტად განისაზღვრა დაავადების სიმძიმე და ოპერაციის სახე.

II ჯგუფში შემავალი პაციენტების კვლევის ინსტრუმენტულ მეთოდად გამოიყენებოდა მუცლის ღრუს ექოსკოპია და კომპიუტერული ტომოგრაფია.

### სიმსივნეების მორფოლოგიური დახასიათება

I ჯგუფს, რომლებსაც ჩატარდა ოპერაციული მკურნალობა 38 პაციენტს (გარდა პანკრეასის სადინრის სტენტის ჩაჭედვისა) გაუკეთდა ოპერაციული მასალის ჰისტოპათოლოგიური კვლევა.

კვლევით განისაზღვრა: სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპის მიკრომორფოლოგიური აღწერილობა, სიმსივნის დიფერენციაციის ხარისხი, ინვაზიის ხარისხი, ლიმფანგიონვაზია/ვენური ინვაზია, პერინერვული ზრდა, სხვა ორგანოების დაზიანება, რეზექციის კიდეები, ლიმფური და მეტასტაზური კვანძების რაოდენობა, TNM კლასიფიკაცია.

2 შემთხვევაში ჩატარებულია პალიატიური ოპერაცია (ქოლეცისტექტომია, ჰეპატიკოიუნიონსტომია, გასტროენტეროსტომია). საკვლევ მასალას წარმოადგენდა ნაღვლის ბუშტი და ლიმფური ჯირკვლები. შესწავლილ ლიმფურ ჯირკვლებში აღინიშნებოდა ადენოკარცინომის მეტასტაზი. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში აღინიშნებოდა ნაღვლის ბუშტის მეტასტაზური დაზიანება.

დანარჩენ 36 შემთხვევაში რეზექციის ხაზები სუფთაა. 16 შემთხვევაში აღინიშნებოდა ფატერის დვრილის ადენოკარცინომა; 19 შემთხვევაში - პანკრეასის დუქტური ადენოკარცინომა; 1 შემთხვევაში - ქოლედოქის დისტალური ნაწილის ქოლანგიოკარცინომა.

II ჯგუფი ჰისტომორფოლოგიურ კვლევას არ საჭიროებდა.

## **ოპერაციული ჩარევების მეთოდიკა და ტექნიკა**

### **ოპერაციული ჩარევების ჩვენებები და უკუჩვენებები**

ოპერაციული ჩარევები უტარდებოდა ყველა იმ პაციენტს, რომლებსაც აღენიშნებოდათ პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის ქირურგიული პათოლოგიები და 2010-2020 წწ. განმავლობაში მომართეს სამ კლინიკას: საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედი“, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი „ინგოროფვას საუნივერსიტეტო კლინიკა“ და მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“.

ოპერაციული მკურნალობის ჩვენებები კვლევის პერიოდში იყო: პანკრეასისა და პერიამპულარული ზონის ყველა ქირურგიული რეზექტაბელური შემთხვევა, რომელიც დადასტურებული იყო ულტრაბგერით, კომპუტერული ტომოგრაფიისა და/ან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის შედეგად; პაციენტები, რომლებსაც მხოლოდ ინტრაოპერაციულად დაუდგინდათ ინოპერაბელური სიმსივნური პროცესი და ჩაუტარდათ პალიატიური ოპერაციები. ხოლო პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებოდათ, ღვიძლშიდა და ღვიძლგარეთა სადინრების დილატაცია, პანკრეატიტი და/ან პანკრეასის სადინრის დილატაცია (>2მმ-ზე) უტარდებოდათ პერკუტანული ვირზუნგოსტომია და ბილიარული გზების დრენირება.

#### **პანკრეასის სადინრის დრენირების (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა**

მანიპულაცია სრულდებოდა ზომიერი სედაციის მიდაზოლამინის (დორმიკუმი) და დიპრივანის (პროპოფოლი) და ადგილობრივი გაუტკივარების ქვეშ.


#### **პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა ულტრაბგერით-რენტგენოსკოპული კონტროლით.**

პანკრეასის სადინაში შესვლის წერტილად ვიყენებდით სადინრის პროქსიმალურ ნაწილს, რაც უზრუნველყოფდა კათეტერის ანტეგრადულ განთავსებას. სადინრის დისტალური ნაწილიდან შესვლა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ჯირკვლის პროქსიმალური ნაწილიდან უსაფრთხო მიდგომა იყო შეუძლებელი. ანატომიური ვარიაციების მიხედვით საპუნქციო ნემსი გადიოდა სხვადასხვა

ქსოვილებს: მხოლოდ კანს, კანსა და ღვიძლს, კანსა და კუჭს. საპუნქციო ნემსის ზომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღებოდა პანკრეასის სადინრის დიამეტრის მიხედვით. 18G საპუნქციო ნემსი გამოიყენებოდა მაშინ, როცა სადინრის ზომა 5მმ და მეტი, ხოლო 22G მაშინ, როცა სადინარის ზომა 5მმ-ზე ნაკლები იყო, რათა ნემსის გადაადგილებისას შეგვემცირებინა სისხლძარღვების დაზიანების რისკი. იმ შემთხვევაში როდესაც საჭირო იყო ნემსის კოაქსიალური გამოყენება პანკრეასის ზედაპირამდე ვიყენებდით 18G ნემსს, ხოლო შემდგომ, მანიპულაცია პანკრეასის სადინრისკენ გრძელდებოდა 22G ნემსით. ვირზუნგის სადინრის წარმატებული პუნქცია მოწმდებოდა პანკრეასის წვენის ასპირაციით. ამის შემდეგ მანიპულაცია გრძელდებოდა რენტგენოსკოპული კონტროლით. ნემსის კანულიდან ხდებოდა საკონტრასტო ნივთიერების შეყვანა, ვირზუნგის სადინრის გამოსახულების მისაღებად, ხოლო შემდგომ ნემსის კანულაში მიმმართველი მავრთულის გატარებით (0.035 დიამეტრის - 18G და 0.018 - 22G საპუნქციო ნემსისთვის) ხდებოდა შესაბამისი (6-8.5 Fr) დიამეტრის მადრენირებელი "Pig-Tail" კათეტერის სადინარში მოთავსება. დასასრულს წარმატებული დრენირების შესამოწმებლად ხდებოდა სადინრის კონტრასტირება (სურათი 9 ა,ბ).

სურათი 9ა: პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომია) ულტრაბგერით - რენტგენოსკოპული კონტროლით.

1. პანკრეასის სადინარი. 2. საპუნქციო ნემსის გზა



სურათი 9ბ: პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომია) ულტრაბგერით - რენტგენოსკოპული კონტროლით.

1. პანკრეასის სადინარი. 2. საპუნქციო ნემსი



### პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა კომპიუტერული ტომოგრაფიითა და რენტგენოსკოპიული კონტროლით


პანკრეასის სადინრის დრენირების (ვირზუნგოსტომიის) მეთოდიკა კომპიუტერული ტომოგრაფიისა და რენტგენოსკოპიული კონტროლით გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც, ექოლოგიური კონტროლით სადინარზე უსაფრთხო მიღება შეუძლებელი იყო ან პანკრეასის სადინრის ანატომიის უკეთ ვიზუალიზაციისათვის.

წინასწარ კომპიუტერული ტომოგრაფიით ფასდებოდა შედარებით უსაფრთხო გზა პანკრეასის სადინრამდე. პროცედურა ტარდებოდა პაციენტის ზურგზე ან მუცელზე მწოლიარე პოზიციაში. მუცელზე წოლის შემთხვევაში, პანკრეასის სადინარზე მიღება ხორციელდებოდა რეტროპერიტონეალური სივრციდან კანის გავლით 18G საპუნქციო ნემსით. იმ შემთხვევაში თუკი ელენთის, თირმლის და მსხვილი ნაწლავის მდებარეობა ქმნიდა დაბრკოლებას, ჰიდროდისექცია კეთდებოდა ფიზიოლოგიური ხსნარის საშუალებით. სადინარში საპუნქციო ნემსის შესვლის

შემდგომ პროცედურა გრძელდებოდა რენტგენოსკოპიული კონტროლით, შესაბამისი (6-8.5 Fr) დიამეტრის მადრენირებელი “Pig-Tail” კათეტერის მოთავსებით პანკრეასის სადინარში. დასასრულს წარმატებული დრენირების შესამოწმებლად ხდებოდა სადინრის კონტრასტირება (სურათი 10 ა,ბ,გ).

სურათი 10ა: პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომია) კომპიუტერული ტომოგრაფიისა და რენტგენოსკოპული კონტროლით.

1. პანკრეასის სადინარში მოთავსებული კათეტერი



სურათი 10ბ: პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომია) კომპიუტერული ტომოგრაფიისა და რენტგენოსკოპული კონტროლით.

1. პანკრეასის სადინარში მოთავსებული კათეტერი



სურათი 10გ: პანკრეასის სადინრის დრენირება (ვირზუნგოსტომია) კომპიუტერული ტომოგრაფიისა და რენტგენოსკოპული კონტროლით.

1. პანკრეასის სადინარში მოთავსებული კათეტერი. 2. კონტრასტირებული პანკრეასის სადინარი



ვირზუნგოლითიაზის მკურნალობის მეთოდიკა და ტექნიკა (ბალონით ასისტირებული დაღმავალი ლითოლაპაქსია)


ულტრაბგერითი რენტგენოსკოპული კონტროლით არსებული ვირზუნგოსტომიური დრენაჟიდან სრულდებოდა ბალონით ასისტირებული დაღმავალი ლითოლაპაქსია.

ვირზუნგოსტომიური კათეტერის საშუალებით შეგვყავდა საკონტრასტო ნივითიერება, რომელითაც ისახებოდა პანკრეასის საერთო და დამატებითი სადინრები და მათში კონკრემენტი. ამის შემდეგ ხდებოდა გამტარი მავთულის შეყვანა. მაღრენირებელი კათეტერის ამოღება და სადინარში 8 CH დიამეტრის ინტროდიუსერის მოთავსება, რომლის საშუალებითაც ხდებოდა მიმმართველი კათეტერის შეყვანა და პანკრეასის სადინრის გავლით 12გოჯა ნაწლავში გამტარი მავთულის გადაყვანა (სურათი 11ა). ამის შემდეგ მიმმართველი მავთულის გაყოლებით შეგვქონდა 8მმ დიამეტრის ბალონი. გაბერილი ბალონის მეშვეობით

ხდებოდა პაპილის დილატაცია და მექანიკური ზეწოლით კონკრემენტების გადაგდება 12გოჯა ნაწლავში (სურათი 11ბ). პროცედურის შემდგომ სრულდებოდა საკონტროლო პანკრეატოგრაფია (სურათი 11გ).

სურათი 11ა: ბალონით ასისტირებული დაღმავალი ლითოლაპაქსია.


1. კონკრემენტი სანტორინის სადინარში. 2. კონკრემენტი ვირზუნგის სადინარში.



სურათი 11ბ: ბალონით ასისტირებული დაღმავალი ლითოლაპაქსია.



სურათი 11გ: საკონტროლო პანკრეატოგრაფია.




### პანკრეატო-დუოდენალური რეზექცია Whipple-ს წესით

პაციენტი მამაკაცი 72წ. დიაგნოზი - ფატერის დვორილის ავთვისებიანი სიმსივნე. გაკეთდა ზედა შუა ლაპაროტომია. რევიზიით მუცლის ღრუში მცირე რაოდენობით გამჭვირვალე უსუნო ფერის გამონადენი, ღვიძლი და პარიესული პერიტონეუმი ხილული პათოლოგიის გარეშე. მობილიზებულ იქნა 12გოჯა ნაწავი, გაიხსნა კუჭუკანა აბგა. კუჭქვეშა ჯირკვლის ყელი, სხეული და კუდი პათოლოგიის გარეშე. თავისა და კაუჭისებრი მორჩის არეში და მის დორზალურად ისინჯება მოცულობითი, მკვრივი, უსწორმასწორო ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი, დაახლოებით 3 სმ. ნაღვლის ბუშტი შეკუმშული, ნაღვლის საერთო სადინარი არ არის დილატირებული, კედლები ანთებადად ინფილტრირებული. მასში შეიგრძნობა დრენაჟი. შესრულდა 12გოჯა ნაწლვის მობილიზაცია კოხერის წესით. მობილიზაციის შემდეგ რევიზიით: სიმსივნური პროცესის ინვაზია ზემო-მეზენტერულ სისხლძარღვებში, ღვიძლის საერთო და საკუთარ არტერიებში, ფაშვის ღეროში და კარის ვენაში არ აღინიშნება. მობილიზებულ იქნა კუჭის დისტალური ნაწილი - გადაიკვეთა. ამავდოროულად ნაღვლის ბუშტის მობილიზაციით და ჰეპატოქოლედოქის გადაკვეთით, ღვიძლის კარიდან არტერიის გასწროვ ფაშვის წნულამდე, პანკრეასისკენ გადანაცვლებით წარმოებულ იქნა ლიმფოდისექცია.


მობილიზებულ იქნა 12გოჯა ნაწლავის ქვემო ჰორიზონტალური ნაწილი ტრეიცის იოგის ჩათვლით და გადაიკვეთა მლივი ნაწლავი პირველი მარყუჟის დონეზე. პანკრეასი გადაიკვეთა ყელის დონეზე. არ აღინიშნება ვირზუნგის სადინრის დილატაცია, გადაკვეთის მომენტში პანკრეასული შიგთავსის აქტიური გადმოდენით. პანკრეატოდუოდენალური კომპლექსი ერთიანი პრეპარატის სახით ამოღებულ იქნა სისხლძარღვოვანი კომპლექსის დამუშავების შემდეგ. შესრულდა პერიკავალური ლიმფოდისექცია, ამოკვეთილ იქნა ზემო მეზენტერული არტერიის მარჯვენა ლატერალური ლიმფური კოლექტორი. ფორმირებულ იქნა ორრიგიანი ინვაგინაციური პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი 3/0 PDS-ით, იმავე მარყუჟზე ერთრიგიანი 4/0 პროლენით ჰეპატიკოიეიუნო ანასტომოზი, ხოლო მეორე მარყუჟით გასტოიეიუნოანასტომოზი. ორივე მარყუჟი გატარებულია განივი კოლინჯის ჯორჯალში და ფორმირებულია „Roux en Y“ შერთული პირით გვერდში ორრიგად 3/0 PDS-ით. ჰემოსტაზი სრული. გაკეთდა მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება. ერთი დრენაჟი ჩაიდგა დუგლასის ფოსოში, მეორე - სუბჰეპატურად ანასტომოზებამდე. ჭრილობა დაიხურა შრეობრივად. კანზე დაედო კვანძვანი ნაკერები (სურათი 12ა,ბ,გ,დ,ე).

მაკროპრეპარატის აღწერა: ამოკვეთილი პანკრეატოდუოდენალური კომპლექსი მოცულობით წარმონაქმნთან (განაკვეთზე მოთეთრო ფერის ხრტილისებრი წარმონაქმნი) და ლიმფური ჯირკვლების კოლექტორთან ერთად.


სურათი 12ა: ფატერის დვრის სიმსივნური წარმონაქმნი წინასწარ ენდოსკოპურად წარმოებული სტენტირებით.




სურათი 12ბ: გასტროდუოდენალური არტერიის გადაკვეთა.




სურათი 12გ: ამოკვეთილი პრეპარატი სიმსივნურ წარმონაქმნთან ერთად.



სურათი 12დ: 1. გადაკვეთილი ნაღვლის საერთო სადინარი. 2. გადაკვეთილი პანკრეასი.



სურათი 12ე: 1.ჰეპატიკოიეიუნო ანასტომოზი. 2. პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი.



## პილორუსის შემანარჩუნებელი პანკრეატოდუოდენალური რეზექცია

პაციენტი მამაკაცი 53წლის. დიაგნოზი - ფატერის დვრილის სიმსივნე. ზოგადი გაუტკივარების ქვეშ გაკეთდა ზედა შუა ლაპაროტომია. შრეობრივად გაიხსნა მუცლის ღრუ. რევიზიით: 12გოჯა ნაწლავში ფატერის დვრილის მიდამოში აღინიშნება მოძრავი ელასტიური სიმსივნური წარმონაქმნი, ღვიძლის მეტასტაზური დაზიანება ნანახი არ იქნა. წარმოებულ იქნა 12გოჯა ნაწლავისა და პანკრეასის თავის გაფართოებული ლატერალური და მედიალური მობილიზაცია კოხერის წესით. სიმსივნური პროცესის ინვაზია ზემო-მეზენტერულ სისხლძარღვებში, ღვიძლის საერთო და საკუთარ არტერიებში, ფაშვის ღეროში და კარის ვენაში არ აღინიშნება. ამრიგად, შემთხვევა ჩაითვალა რეზექტაბელურად. წარმოებულ იქნა ქოლეცისტექტომია და მობილიზებულ იქნა ნაღვლის საერთო სადინარი (სანათურში შეიგრძნობა პერკუტანული, მადრენირებელი კათეტერი). იდენფიცირებულ იქნა და დამჭერზე აღებულ იქნა ღვიძლის საერთო არტერია და კარის ვენა. გადაიკვეთა გასტროდუოდენური არტერია ორმაგი ლიგირების შემდეგ და მობილიზებულ იქნა: კუჭის პილორული ნაწილი, 12გოჯა ნაწლავის პირველი პორცია და კარის ვენის გამოყოფის შემდეგ კუჭუკანა ჯირკვლის თავისა და სხეულის მიდამო (ვირზუნგის სადინარში შეიგრძნობა პერკუტანული, მადრენირებელი კათეტერი). გაიკვეთა ტრეიცის იოგი და მობილიზებულ იქნა მლივი ნაწლავის პირველი მარყუჟი. გადაიკვეთა ღვიძლის საერთო სადინარი და კუჭუკანა ჯირკვალი სხეულისა და ყელის საზღვარზე. გადაიკვეთა მლივი ნაწლავი. პრეპარატში აღებულ იქნა ლიმფური ჯირკვლები ჰეპატოდუოდენალური იოგიდან, რეტროპანკრეატოდუოდენური მიდამოდან, პანკრეასის ზედა და ქვედა კიდიდან. ოპერაციული პრეპარატი ერთ ბლოკად ამოღებულ იქნა მუცლის ღრუდან. რეკონსტრუქციის ეტაპი: ფორმირებულ იქნა პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი ინვაგინაციური წესით, მადრენირებელი კათეტერის ანასტომოზში გადაყვნით. ანასტომოზის მიდამოს მიდამოს მლივი ნაწლავის ლორწოვანი დამუშავებულ იქნა ელ.კოაგულატორით. 8-10 სმ მოშორებით ფორმირებულ იქნა ჰეპატიკოიეიუნო ანასტომოზი, ერთრიგიანი კვანძოვანი ნაკრებით მადრენირებელი კათეტერის გადაყვანით ანასტომოზის არეში. 15-20 სმ მოშორებით ფორმირებულ იქნა დუოდენოიეიუნო ანასტომოზი ორ რიგად (პირით-გვერდში) ნაზოენტერალურ ზონდზე. ჰემოსტაზი სრული, დრენირებულ იქნა


ღვიძლქვედა, სუბდიაფრაგმული არეები და დუგლასის ფოსო. ჭრილობა დაიხურა შრეობრივად. კანზე დაედო კვანძვანი ნაკერები (სურათი 13 ა,ბ,გ,დ,ე,ვ,ზ,თ,ი,კ).

მაკროპრეპარატის აღწერა: ამოკვეთილი პანკრეატოდუოდენალური კომპლექსი მოცულობით წარმონაქმნთან (განაკვეთზე მოთეთრო ფერის ხრტილისებრი წარმონაქმნი), ლიმფური ჯირკვლების კოლექტორთან ერთად.


სურათი 13ა: 12გოჯა ნაწლავისა და პანკრეასის თავის გაფართოებული ლატერალური და მედიალური მობილიზაცია კოხერის წესით.




სურათი 13ბ: წვრილი ნაწლავის გადაკვეთა.




სურათი 13გ: 12გოჯა ნაწლავის გადაკვეთა პილორუსის ქვემოთ.



სურათი 13დ: გამოყოფილი პანკრეასის თავი და სხეული.




სურათი 13ე: პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი, პანკრეასის სადინრის ინტრაოპერაციული სტენტირებით და ანასტომოზში გადაყვანით.



სურათი 13გ: 1. გადაკვეთილი პანკრეასი. 2. პერკუტანული ვირზუნგოსტომიური დრენაჟი.




სურათი 13%: პანკრეატოიდიუნო ანასტომოზი პერკუტანული ვირზუნგოსტომური კათეტერის ანასტომოზში გადატანით.




სურათი 13თ: ამოვეთილი პანკრეატოდუოდენალური კომპლექსი მოცულობით წარმონაქმნთან ერთად.



სურათი 13ი: ჰეპატიკოიეიუნო ანასტომოზი, პერკუტანული ქოლანგიოსტომური კათეტერის ანასტომოზში გადატანით.



სურათი 13კ: დუოდენოიეიუნო ანასტომოზი.



ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკურეატოიეიუნოანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკურეასის სადინონის გარეთა დრენირებით  
სურათი 14: დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა.



## მეთოდის აღწერა:

გამოგონება განეკუთვნება მედიცინის დარგს, კერძოდ კი, ქირურგიას და  
მიზანშეწონილია მისი გამოყენება ჰეპატოპანკრეატობილიარულ ზონაში  
წარმოებული ოპერაციების დროს (სურათი 14).

გამოგონების მიზანს წარმოადგენს პანკრეატოიუნო ანასტომოზის ნაკერების უკმარისობის და მასთან დაკავშირებული გართულებათა რიცხვის შემცირება და პროფილაქტიკა.

გამოგონების არსი არის ის, რომ აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელია პანკრეატოიეიუნო ანასტომოზის ორმაგი საიმედო ინვაგინირება ტრანსანასტომოზური სტენტირებით პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით.


წარმოდგენილი პანკრეატოიეიუნო ანასტომოზის ფორმირება, რომელიც წარმოდგენილია სურათი 15-18, ხორციელდება შემდეგნაირად:

პანკრეასის ტაკვის და მლივი ნაწლავის პროქსიმალური ნაწილის სათანადო მობილიზების შემდეგ (როგორც წესი 4-5 სმ მანძილზე) და პანკრეასის სადინრის სანათურიდან სადრენაჟე მილის ნაწლავის სანათურში (ტრანსანასტომოზურად) გადატარების შემდეგ ხორციელდება I ინვაგინაცია 3/0 ატრავმული გაწოვადი ძაფით ნემსის მარჯვენა გვერდიდან პირველი ნაკერის „გარედან შიგნით“ გატარებით გადაკვეთილი ნაწლავის კიდიდან 2 სმ მოშორებით. შემდეგ ვანხორციელებთ ტრანსპანკრეასულად „S“-მაგვარი ნაკერის დადებას პანკრეასის ანალოგიურ გვერდით მხარეზე ასევე გადაკვეთილი კიდიდან 2 სმ მოშორებით და ნემსის დაბდუნებით და გატარებით ნაწლავის სანათურიდან გარეთ პირველი ჩხვლეტის გვერდით. ანალოგიურ პროცედურას ვატარებთ მარცხენა გვერდით მხარეზეც (სურათი 15 ა,ბ).

#### სურათი 15:

- ა) I ინვაგინაციის ნაკერების გატარების სქემატური გამოსახულება.
- ბ) I ინვაგინაციის ნაკერების გატარების ინტრაოპერაციული გამოსახულება.

ა)



ბ)




აღნიშნული ნაკერების ერთდროული მოჭიმვის შემდეგ პანკრეასის ტაკვი ადვილად ჩაცურდება ნაწლავის სანათურში და ძაფების გაკვანძის შემდეგ ხდება კუჭქვეშა ჯირკვლის ქსოვილის და ნაწლავის კედელს შორის ერთმანეთთან კარგი

ფიქსაცია და ადაპტაცია. ამის შედეგად პანკრეასის ტაკვი ინვაგინირებულია (ჩაყურსულია) ნაწლავის სანათურში დაახლოებით 4 სმ მანძილზე (სურათი 16 ა,ბ).

#### სურათი 16:


- ა) I ინვაგინაციის დასრულებული სახე, სქემატური გამოსახულება.
- ბ) I ინვაგინაციის დასრულებული სახე, ინტრაოპერაციული გამოსახულება.



ინვაგინაციის II ეტაპისთვის ნაწლავის კიდიდან 1 სმ მოშორებით ასევე ორივე გვერდზე და შუაში (წინა და უკანა ზედაპირზე) ვადებთ 4 „U“-მაგვარ ნაკერებს ტრანსპანკრეასული გატარებით, რომელთა გაკვანძვის და ნაწლავის კედლის ჩაბრუნების შემდეგ ვღებულობთ 1 სმ კუნთოვან-სეროზულ მანქეტს, რომელიც ცირკულარულად სეროზული გარსით მჭიდროდ და მტკიცედ ეკვრის პანკრეასის ქსოვილს (სურათი 17ა,ბ-18ა,ბ).

#### სურათი 17:

- ა) II ინვაგინაციის ნაკერების გატარების სქემატური გამოსახულება.
- ბ) II ინვაგინაციის ნაკერების გატარების ინტრაოპერაციული გამოსახულება.




### სურათი 18:


ა) ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოეიუნო ანასტომოზის დასრულებული სახე, სქემატური გამოსახულება

ბ) ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოეიუნო ანასტომოზის დასრულებული სახე ინტრაოპერაციული გამოსახულება

ა)



ბ)



ამრიგად, წარმოდგენილი ანასტომოზი არის ორმაგად ინვაგინირებულ „პირით-პირში“ ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით წარმოებული პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი, რომელსაც გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- ) არის მარტივი წარმოებისთვის;
- ) არის ჰერმეტული და შესაბამისად უსაფრთხო;
- ) მისი წარმოებისთვის საჭიროა დროის მცირე მონაკვეთი (10-12 წთ.);
- ) შეიძლება გამოყენება პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში;
- ) ხასიათდება ქსოვილების მინიმალური ტრავმატიზაციით (სულ 6 ნაკერი და 1 შრე);
- ) უზრუნველყოფილია პანკრეასის წვენის თავისუფალი პასაჟი;

გამოგონების პრაქტიკული შედეგია ანასტომოზირების ტექნიკური პროცესის გამარტივება, მისი წარმოებისთვის დროის შემცირება და ანასტომოზის საიმედოობის გაზრდა. ასევე დადებითი შედეგია ის, რომ გამოიყენება ნაკერების (სულ 6 ნაკერი) და შრეების (1 შრე) მინიმალური რაოდენობა, ხორციელდება შრეების კარგი ადაპტაცია და შესაბამისად ანასტომოზის კარგი ჰერმეტულობა და ასევე უზრუნველყოფილია

პანკრეასის წვენის თავისუფალი პასაჟი ტრანსანასტომოზური სტენტის მეშვეობით, რომლის ჩაყენება ხდება პანკრეასის სადინარში პერკუტანურად ოპერაციის წინა პერიოდში.

მეთოდი აპრობირებულია კლინიკურ პრაქტიკაში და რეკომენდებულია მისი ფართო გამოყენება ჰეპატოპანკრეატობილიარულ ზონაში ოპერაციების დროს.

### **კუჭქვეშა ჯირკვლის დისტალური რეზექცია**

პაციენტი: მამაკაცი 64წ. დიაგნოზი: კუჭუკანა ჯირკვლის სხეულისა და კუდის დიდი ზომის სიმსივნური წარმონაქმნი, ინვაზიით ელენთის კედელში.

გაკეთდა ზედა შუა ლაპაროტომია. რევიზიით: კუჭქვეშა ჯირკვლის სხეულსა და კუდის არეში აღინიშნება დიდი ზომის კისტოზური წარმონაქმნი, მრგვალკამერიანი, სოლიდური შენებით, ინვაზიით ელენთის კარში და კედელში. გარკვეული ტექნიკური სირთულეებით გამოყოფილ იქნა კუჭი მარცხენა და ელენთის არტერიები (ღვიძლის არტერიის შენარჩუნებით), რომლებიც ორმაგი ლიგირების შემდეგ გადაიკვეთა. კუჭუკანა ჯირკვალი გადაიკვეთა ხაზოვანი სტეპლერის მეშვეობით სხეულისა და ყელის საზღვარზე. წარმობულ იქნა გაფართოებული დისტალური პანკრეატექტომია და სპლენექტომია. ჰემოსტაზი სრული. გაკეთდა მუცლის ღრუს სანაცია და დრენირება. დრენირებულ იქნა მარცხენა სუბდიაფრაგმული მიდამო და კუჭუკანა ჯირკვლის ტაკვის არე აქტიური სადრენაჟე მილით. ჭრილობა გაიკერა შრეობრივად.

მაკროპრეპარატის აღწერა: ამოკვეთილი კუჭუკანა ჯირკვლის სხეული, კუდი და ელენთა სიმსივნურ წარმონაქმნთან ერთად (სურათი 19).

სურათი 19: ამოკვეთილი კუჭქვეშა ჯირკვლის სხეული, კუდი და ელენთა სიმსივნურ წარმონაქმნთან ერთად.

1. სიმსივნური წარმონაქმნი.




### კუჭქვეშა ჯირკვალზე წარმოებული სხვა ოპერაცია

პაციენტი: ქალი, 21 წლის. დიაგნოზით: კუჭუკანა ჯირკვლის სადინრის სტენტის ჩაჭედვა. გაკეთდა ზედა შუა ლაპაროტომია. გაკეთდა ლატერალური და მედიალური კოხერიზაცია. გამოიყო 12გოჯა ნაწლავი და შესრულდა დუოდენოტომია. რევიზიით: 12გოჯა ნაწლავის სანათურში აღინიშნება სტენტის ნაწილი დაახლოებით 3-4 სმ სიგრძით, რომელიც გამოდის მცირე დვრილიდან პანკრეასის დამატებითი (სანტორინის) სადინრიდან. დიდი ტექნიკური სირთულეების მიუხედავად ჩლუნგი და ბასრი წესით მოხდა აღნიშნული სტენტის ექსტრაქცია. პანკრეასის სადინრის სტრიქტურის პროფილაქტიკის მიზნით წარმოებულ იქნა ლატერალური პანკრეატოიეიუნოსტომია ROUX-EN-Y-ის ტიპის

მარყუჯზე სადინარში არსებული სადრენაჟე კათეტერის გადატანით. გაკეთდა საკონტროლო ფისტულოგრაფია საღებავით (მეთილენის ლურჯი), რომლის ექსტრავაზაცია არ აღინიშნება არსად. ამის შემდგომ წარმოებულ იქნა ენტეროენტეროსტომია ორ სართულად და დუოდენორაფია ნაზოენტერალური ზონდის გატარებით. რეტროდუოდენალური და პანკრეატოიეიუნო ანასტომოზის მიდამო დრენირებულ იქნა. ჰემოსტაზი სრული. მუცლის ღრუ დაიხურა შრეობრივად (სურათი 20 ა,ბ,გ,დ,ე,ვ).

მაკროპრეპარატის აღწერა: კუჭუკანა ჯირკვლის სადინარიდან ამოღებული ჩაჭედილი სტენტი.

სურათი 20ა: მობილიზებული 12 გოჯა ნაწლავი.




სურათი 20ბ: დუოდენოტომია, 12გოჯა ნაწლავის სანათურში სტენტის ნაწილი.



სურათი 20გ: ამოღებული სტენტი.




სურათი 20დ: პერკუტანული ვირზუნგოსტომული კათეტერი.



სურათი 20ე: ლატერალური პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი, შერთულში პანკრეასის სადინარში არსებული სადრენაჟე კათეტერის გადატანით.



სურათი 203: 1. ვირზუნგოსტომიური კათეტერის კუჭქვეშა ჯირკვალში  
შესვლის ადგილი. 2. ლატერალური პანკრეატოიეიუნოსტომია.




### პალიატიური ჩარევები კუჭქვეშა ჯირკვლის არარეზექტაბელური შემთხვევების დროს

პაციენტი: მამაკაცი, 68 წ. დიაგნოზით: პანკრეასის თავის სიმსივნე. გაკეთდა  
ზედა შუა ლაპაროტომია. რევიზიით: აღინიშნება ღვიძლის მრავლობითი  
მეტასტაზური დაზიანება. ნაღვლის ბუშტი, ქოლედოქი გადიდებული. კუჭუკანა  
ჯირკვლის თავის, სხეულის და კუდის სიმსივნური ინფილტრატი  
ინვაზირებულია ზედა მეზენტერულ სისხლძარღვებსა და 12გოჯა ნაწლავის  
კედელში. შემთხვევა მიჩნეულ იქნა არარეზექტაბელურად. წარმოებულ იქნა  
ქოლეცისტექტომია ნაღვლის ბუშტის არტერიის და სადინრის ლიგირებით.


ქოლედოქის გარშემო ჩლუნგი და ბასრი წესით გამოიყო და მოცილებულ იქნა სიმსივნური შეხორცებები და გაკეთდა ჰეპატიკოიეუნოსტომია. შემდეგ გაკეთდა კუჭის დიდი სიმრუდის და ტრეცის იოგის მობილიზაცია და დაედო გასტროიეიუნო ანასტომოზი ორ რიგად. ენტეროენტეროსტომია ROUX-EN-Y-ის მოდიფიკაციით ორ რიგად. ასევე მზის წნულის ქიმიური აბლაცია სპირტის ინექციით. ჰეპატიკოიეუნო ანასტომოზთან ჩაიდგა ერთი დრენაჟი. ღვიძლიდან მორფოლოგიური კვლევისთვის აღებულ იქნა სავარაუდოდ მეტასტაზური წარმონაქმნი. ჰემოსტაზი სრული. ანასტომოზებთან მიტანილ იქნა დრენაჟები. მუცელის ღრუ დაიხურა შრეობრივად (სურათი 21ა,ბ,გ,დ,ე).

მაკროპრეპარატის აღწერა: ნაღვლის ბუშტი და ღვიძლის მეტასტაზურად დაზიანებული უბანი.

სურათი 21ა: 1. გადიდებული ნაღვლის ბუშტი 2. გადიდებული ქოლედოქი.



სურათი 21ბ: 1. ჰეპატიკოიეიუნო ანასტომოზი. 2. ღვიძლის მეტასტაზურად დაზიანებული უბანი.



სურათი 21გ: ამოკვეთილი ნაღვლის ბუშტი ღვიძლის მეტასტაზურად დაზიანებულ უბანთან ერთად.



სურათი 21დ: გასტროიეიუნო ანასტომოზი



სურათი 21ე: ენტეროენტერო ანასტომოზი



## ოპერაციული ჩარევების შედეგები

### პანკრეასის სადინრის მინიინვაზიური დრენირების შედეგები

კვლევის განმავლობაში 77 პაციენტს ჩაუტარდა კუჭუკანა ჯირკვლის სადინრის პერკუტანული დრენირება, რომლთათვისაც ენდოსკოპიური მეთოდით მკურნალობის წარმოება იყო შეუძლებელი ან წარუმატებელი. ყველა შემთხვევაში გამოხატული იყო დილატირებული პანკრეასის სადინარი, გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც აღინიშნებოდა პანკრეასის გარეგანი ფისტულა.

მამაკაცი იყო - 41 (53,2%), ქალი 36 (46,8%). საშუალო ასაკი 57,9 (ასაკი მერყეობდა 32წ-დან-90წ-მდე)

ძირითადი სიმპტომები იყო ტკივილი მუცლის არეში, ცხელება, გულისრევის შეგრძნება. პანკრეასის სადინრის პერკუტანული დრენირება წარმატებით შესრულდა 98,7%-ში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც აღინიშნებოდა პანკრეასის გარეგანი ფისტულა).

პროცედურის შემდგომ დრენირებული პანკრეასის წვენის რაოდენობა მერყეობდა 300-900 მლ დღეში. გამონადენის რაოდენობა იზრდებოდა 6-7 დღის განმავლობაში.

პროცედურის შემდგომ კლინიკური გაუმჯობესება მიღწეულ იქნა ყველა შემთხვევაში. აღინიშნებოდა შრატში ამილაზას მნიშვნელოვანი შემცირება ( $355,41 \pm 160,0$ -დან  $37.41 \pm 11,62$  U/L-მდე). ახლადაღმოცენებული შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში, უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა ჰიპერგლიკემიის მაჩვენებლის მკვეთრი ნორმალიზაცია (გლუკოზა სისხლში დრენირებამდე  $10,46 \pm 0,65$  მმოლ/ლ და დრენირების შემდგომ  $4,05 \pm 1,13$  მმოლ/ლ). ხანდაზმული შაქრიანი დიაბეტის ანამნეზით გლიკემიის მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა.

ყველა შემთხვევაში იყო კეთილსამედო გამოსავალი. ჩვენს პრაქტიკაში არ გვქონია ისეთი გართულებები როგორიცაა: სისხლდენა, სისხლძარღვების დაზიანება, პანკრეატიტი, ინფექციური გართულებები, მაშინაც კი როდესაც კუჭუკანა ჯირკვლის სადინრის დრენირება სრულდებოდა ტრანსგასტრულად.

სიკვდილიანობა პროცედურის მსვლელობისას ან შემდგომი 30 დღის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. პანკრეასის ობსტრუქციული დაავადების შემდგომ ვირზუნგოსტომიული კათეტერი რჩებოდა 2 კვირის განმავლობაში,

საიდანაც ხორციელდებოდა შემდგომი საჭირო პროცედურები, ხოლო პანკრეასის სტრიქტურის არსებობის შემთხვევაში კათეტერი რჩებოდა მაქსიმუმ 10,5 თვე სადინირის ბალონური დილატაციის და გარეგანი-შინაგანი დრენირების მიზნით.

## **ტექნიკური და ტაქტიკური თავისებურებები პანკრეატოდუოდენალური რეზექციის დროს**

პანკრეატოდუოდენალური რეზექცია დღევანდელ დღემდე რჩება კუჭნაწლავის ტრაქტის ყველაზე რთულ, ინვაზიურ და მძიმე ოპერაციულ ჩარევად. მიუხედავად ამისა, პერიამპულარული ზონის ავთვისებიანი რეზექტაბელური სიმსივნეების დროს ეს ოპერაცია რჩება არჩევის მეთოდად და მიიჩნევა, რომ იგი იძლევა მკურნალობის და განკურნების ერთადერთ და საუკეთესო შანსს. პანკრეასის სხეულისა და კუდის სიმსივნური დაავადების დროს სრულდებოდა პანრეასის დისტალური რეზექცია.

არსებობს რამოდენიმე ტექნიკური და ტაქტიკური თავისებურება, რაც საშუალებას გვაძლევდა წარმატებით შეგვესრულებინა ეს რთული და საპასუხისმგებლო ოპერაცია.

ჩვენს მიერ წარმოებული პანკრეატოდუოდენალური რეზექციის 30 შემთხვევაში გაკეთებულ იქნა ბილიარული და პანკრეასული გზების დრენირება (18 შემთხვევაში იზოლირებულად მხოლოდ ბილიარული გზის, ხოლო 12 შემთხვევაში კომბინირებული დრენირება). რიგ შემთხვევებში, აღინიშნებოდა სანაღვლე გზების ბლოკი, ბილირუბინის მაჩვენებელი  $>250 \text{ μmol/L}$ -ზე, რის გამოც წინასწარ ვაკეთებდით პერკუტანულ ბილიარულ დრენირებას, ხოლო 8 შემთხვევაში აღინიშნებოდა ჰიპერამილაზემია, ვირზუნგის სადინარი იყო  $>2\text{მმ}$ -ზე, რის გამოც კეთდებოდა პერკუტანული ვირზუნგოსტომია.


ოპერაციის პირველ ეტაპს ყოველთვის წარმოადგენდა 12გოჯა ნაწლავის და კუჭუკანა ჯირკვლის თავის გაფართოებული ლატერალური და მედიალური მობილიზაცია კოხერის წესით.

კუჭუკანა ჯირკვლისა და პერიამპულარული ზონის ავთვისებიანი რეზექტაბელური სიმსივნეების დრო არ კეთდებოდა გაფართოვებული

ლიმფოდისექცია. ამოკვეთილი ლიმფური ჯირკვლების რაოდენობა ყველა შემთხვევაში იყო 10-15, რათა ადექვატურად განსაზღვრულიყო დაავადების სტადია.


პანკრეასის ყელის უკანა ზედაპირს, ჯორჯლის ზემო ვენასა და კარის ვენას შორის გვირაბის წარმატებით შესაქმნელად აუცილებელია ამ ვენების ტოტების იდენტიფიცირება და ლიგირება. ე.წ “v. Belcher” (v.posteriorsuperior pancreaticoduodenalis) (სურათი 22)(125), რომელიც გვხვდება შემთხვევათა 80%-ში. იგი ანატომიურად არის მოკლე და ფართე და წარმოადგენს კარის ვენის ტოტს, რომელიც შედის პანკრეასის თავში. ამიტომაც პანკრეატოდუოდენალური რეზექციის დროს აუცილებელია ამ ვენის ზუსტად იდენტიფიცირება (რაც წარმოადგენს რთულ პროცესს) და მისი ლიგირება, რათა არ მოხდეს სისხლის მასიური დაკარვა.

სურათი 22: 1. ე.წ “v. Belcher” (v.posteriorsuperior pancreaticoduodenal)




იმ შემთხვევებში, როდესაც ვირზუნგის სადინრის დიამეტრი იყო  $<2\text{მმ}$ -ზე, ინტრაოპერაციულად კეთდებოდა პანკრეასის სადინრის ტრანსპანკრეასული დრენირება (4 შემთხვევა) (სურათი 23ა,ბ). პანკრეატო-ბილიარული გზების დრენაჟები ყოველთვის გამოიყენებოდა, როგორც ტრანსანასტომოზურ სტენტად, ისე სადინრების გარეგანი-შინაგანი დრენირებისთვის (სურათი 24 ა,ბ).

სურათი 23ა: პანკრეასის სადინრის სანათურიდან ტარანსპანკრეასულად გატარებული მადრენი.




სურათი 23ბ: ტრანსპანკორეასულად გატარებული დრენაჟი.



#### სურათი 24:

- ა) პანკრეატო-ბილიარული გზების დრენაჟები (ოპერაციამდე).
- ბ) პანკრეატო-ბილიარული გზების დრენაჟები (ოპერაციის შემდეგ).



გასტროენტერო და დუოდენოენტერო ანასტომოზების წარმოებისას კუჭში და შერთულის ქვემოთ ყოველთვის ხდებოდა ნაზოგასტრალური და ნაზოენტერალური ზონდების დატოვება დეკომპრესიისა და ადრეული ენტერალური კვებისათვის.

როგორც ცნობილია, პანკრეატოენტერო ანასტომოზის ფორმირება დღესაც „აქილევსის ქუსლად“ რჩება კუჭქვეშა ჯირკვალზე წარმოებული ოპერაციების დროს და მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული, ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნოანასტომოზი ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით, არის უფრო უსაფრთხო, წარმოებისთვის ადვილი, სანდო და ეფექტური ინვაგინირებული ანასტომოზის სახე.

ოპერაციის ბოლო ეტაპზე კეთდებოდა წვრილი ნაწლავის ჯორჯლის ინფილტრაცია ნოვოკაინით (1% - 80-100 მლ) ანალგეზიის გახანგრძლივებისა და ნაწლავთა პარეზის ადრეული ლიკვიდაციისთვის.


## ოპერაციის შემდგომი პერიოდის მართვის თავისებურებები

ოპერაციის შემდგომი პერიოდის სწორ მართვას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ოპერაციის შემდგომი გართულებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებაში. მისი მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს და გააუმჯობესოს ორგანიზმის ფუნქციონალური შესაძლებლობები. ჩვენს მიერ წარმოებული ოპერაციების შემდგომ ყველა პაციენტს უტარდებოდა:

- ) გასტროინტესტინული სისტემის დეკომპრესია (ნაზოგასტრალური და ნაზოენტერალური ზონდით) (სურათი 25);
- ) ჰეპატობილიარული სისტემის დეკომპრესია (პერკუტანულად);
- ) ადრეული ენტერალური კვება (ნუტრიზოლი, პეპტამენი);
- ) შესაბამისი ინფუზიური და პარენტერალური თერაპია;
- ) შესაბამისი ანტიბიოტიკო და ანტიკოაგულაციური თერაპია;
- ) პაციენტის ადრეული აქტივაცია;
- ) ანტიემეტიკური და ანალგეზიური საშუალებები;
- ) ოქტეოტრიდი (სანდოსტატინი);
- ) პერიდურული ანესტეზია, ეპიდურული ანალგეზია;
- ) ფერმენტებისა (კრეონი) და ჰეპატოპროტექტორების (ჰეპტრალი) გამოყენება;
- ) ადიუვანტური ქიმიოთერაპია (ჰისტოპათოლოგიური დასკვნის და სიმსივნის დიფერენცირების ხარისხის მიხედვით);
- ) დიეტა.

ოპერაციის შემდომ (3-4 კვირა) პერკუტანული ქოლანგიოსტომიური და ვირზუნგოსტომიური კათეტერებიდან კეთდებოდა ქოლანგიოპანკრეატოგრაფია, რის შემდგომ, ექსტრავაზაციის ნიშნების არ არსებობის შემთხვევაში, რაც მიანიშნებდა ანასტომოზების სრულ ჰერმეტიზმზე, ხდებოდა მათი ექსტრაქცია (სურათი 26, სურათი 27).

სურათი 25: დუოდენენოტერო ანასტომოზი, წინასწარ ნაზოენტერალური ზონდის გატარებით, ადრეული ენტერალური კვებისათვის.



სურათი 26: ქოლანგიოგრაფია პერკუტანული ქოლანგიოსტომური კათეტერიდან (ოპერაციის შემდგომი).



სურათი 27: პანკრეატოგრაფია პერკუტანული ვიზუალური კათეტერიდან (ოპერაციის შემდგომი).



### დისკუსია

პანკრეასია და პერიამპულარული ზონის სიმსივნეებზე წარმოებული ოპერაციებიდან პანკრეატოდუოდენალური რეზექცია დღევანდელ დღემდე რჩება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველაზე რთულ, ინვაზიურ და მძიმე ოპერაციულ ჩარევად, რომელიც ხასიათდება პოსტოპერაციული გართულებების და ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით. მიუხედავად ამისა, რეზექტაბელური სიმსივნეების დროს, ეს ოპერაცია რჩება არჩევის მეთოდად და მიიჩნევა, რომ ის იძლევა მკურნალობის და განკურნების ერთადერთ და საუკეთესო შანსს. პანკრეატოენტერო ანასტომოზის ფორმირება დღესაც „აქილევსის ქუსლად“ რჩება კუჭქვეშა ჯირკვალზე წარმოებული ოპერაციების დროს.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კლინიკური კვლევები გვაჩვენებს, რომ, ინვაგინაციური მეთოდის გამოყენება ანასტომოზების ფორმირებისას ხასიათდება გართულებების დაბალი მაჩვენებლით.

პანკრეასის ქირურგიაში, ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულა, რომლის სიხშირეც მერყეობს 13-41%-მდე. იგი უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ფაქტორზე და ამჟამად, ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი ჯერ კიდევ უცნობია.

პანკრეასის ფისტულის ხარისხის განსაზღვრისათვის ვიყენებდით Bassi (2016)<sup>1</sup> et al.-ის მიერ მოწოდებულ შეფასების სისტემას (A,B,C ხარისხი).

ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პანკრეასის ე.წ „რბილი“ ჯირკვალი, კუჭუკანა ჯირკვლის „წვრილი“ სადინარი (3მმ-ზე ნაკლები), პაციენტის სქესი (მამაკაცი), ასაკი (75წ და ზემოთ), თანმხლები ქროკული დაავადებები (პანკრეატიტი, სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, გულისისხლძარღვთა დაავადებები), ოპერაციის ხანგრძლივობა, ოპერაციის ტრავმატიზმი - ზრდის ოპერაციის შემდგომი პანკრეასის ფისტულების ჩამოყალიბების მაჩვენებელს.

ჯერ კიდევ, საკამათო საკითხად რჩება სანალვლე გზების დრენირების აუცილებლობა წინასაოპერაციო პერიოდში. თუმცა, უკვე ბევრი ქირურგი მიესალმება ამ მეთოდის რუტინულად გამოყენებას პანკრეატოდუოდენალური რეზექციის წინა პერიოდში. ბოლო პერიოდის ლიტერატურაში უკვე გვხვდება ცნობები, ენდოსკოპიურ რეტროგრადულ ბილიარულ დრენირებასთან შედარებით, პერკუტანული ტრანსპეპატური ბილიარული დრენირების დადებით მხარეზე და უპირატესობებზე (174,175).

კუჭკვეშა ჯირკვლის სადინრის ობსტრუქცია ხშირად გვხვდება პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ ან გადატანილი აქვთ სხვადასხვა კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი პათოლოგიები (პანკრეატიტი, პანკრეასის სადინრის და სანალვლე გზების კენჭოვანი დაავადება, სადინრის სტრიქტურა, პერიამპულარული ზონის სიმსივნე). პანკრეასის სადინრის დეკომპრესია ხსნის ობსტრუქციას და შესაბამის კლინიკურ სიმპტომებს. აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია ენდოსკოპური ჩარევით - რეტროგრადული ქოლანგიოპანკრეატოგრაფიით და პანკრეასის სადინარში სტენტის მოთავსებით, მაგრამ, თუ ამ მეთოდით პროცედურის ჩატარება შეუძლებელია, დღესდღეობით, ალტერნატივად განიხილება სადინარის პერკუტანული დრენირება, როგორც უსაფრთხო და ეფექტურ პროცედურა, რომელიც

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო პროცედურა, ასევე ხიდად სხვა შემდგომში საჭირო მანიპულაციების ჩასატარებლად (სადინრის სრიქტურისა და ვირზუნგოლითიაზის მკურნალობისათვის, სიმსივნის ბიოფსიისა და ენდოლუმინური აბლაციისათვის).

რეტროსპექტული კვლევების ანალიზით, პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირება, ეფექტურად ამცირებს პანკრეატოდუოდენალური რეზექციის შემდგომი გართულების და სიკვდილიანობის მაჩვენებელს.

სწორედ ეს ფაქტები აღმოჩნდა ჩვენი გუნდისთვის საინტერესო, რათა შეგვექმნა უსაფრთხო, წარმოებისთვის ადვილი, სანდო და ეფექტური ინვაგინირებული ანასტომოზის სახე, ხოლო წინასწარ პერკუტანულად ჩაყენებული ბილიარული და პანკრეასული დრენაჟები გამოგვეყენებინა, როგორც ტრანსანასტომოზურ სტენტად და სადინრების გარეგანი-შინაგანი დრენირებისთვის. აგრეთვე ჩევნს მიერ შემუშავებული მინიონვაზიური პერკუტანული ვირზუნგოსტომიური კათეტერი საჭიროების შემთხვევაში გამოგვეყენებინა გზად შემდგომი პროცედურებისათვი (ფისტულოგრაფია, კუჭუკანა ჯირკვლის სადინრის ბალონური დილატაცია, სტენტირება, ვირზუნგოლითიაზის სამკურნალოდ და ენდოლუმინური პროცედურებისთვის).

ჩვენს მიერ ჩატარებული 39 ოპერაციიდან 7 (18,9%) პაციენტში აღინიშნა ოპერაციის შემდგომი გართულების 11 შემთხვევა, რაც შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურის მონაცემებს. აღსანიშნავია რომ ამ პაციენტებთან არ იყო გამოყენებული ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი „პირით - პირში“ ორმაგად ინვაგინირებული პანკრეატოიეიუნო ანასტომოზი, ტრანსანასტომოზური სტენტირებით და პანკრეასის სადინრის გარეთა დრენირებით. მხოლოდ 2 შემთხვევაში ანასტომოზის მიღამოდან განვითარდა ე.წ „ბიოქიმიური გაჟონვა“, კლინიკურად უმნიშვნელო და უსიმპტომო მიმდინარეობით (რაც დადასტურდა ლაბორატორიულად, თავისუფალ მუცლის ღრუში არსებული დრენაჟიდან პანკრეასის წვენის არსებობით), რომლებიც არ მოითხოვდნენ ფარმაკოლოგიურ ან სხვა სახის ჩარევას.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოწოდებულ ანასტომოზს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- არის მარტივი წარმოებისთვის;
- არის ჰერმეტული და შესაბამისად უსაფრთხო;
- მისი წარმოებისთვის საჭიროა დროის მცირე მონაკვეთი (10-12 წთ.);
- შეიძლება გამოყენება პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში;
- ხასიათდება ქსოვილების მინიმალური ტრავმატიზაციით (სულ 6 ნაკერი და 1 შრე);
- უზრუნველყოფილია პანკრეასის წვენის თავისუფალი პასაჟი.

გამოგონების პრაქტიკული შედეგია ანასტომოზირების ტექნიკური პროცესის გამარტივება, მისი წარმოებისთვის დროის შემცირება და ანასტომოზის საიმედოობის გაზრდა. ასევე დადებითი შედეგია ის, რომ, გამოიყენება ნაკერების (სულ 6 ნაკერი) და შრეების (1 შრე) მინიმალური რაოდენობა, ხორციელდება შრეების კარგი ადაპტაცია და შესაბამისად ანასტომოზის კარგი ჰერმეტულობა, ასევე უზრუნველყოფილია პანკრეასის წვენის თავისუფალი პასაჟი ტრანსანასტომოზური სტენტის მეშვეობით, რომლის ჩაყენება ხდება პანკრეასის სადინარში პერკუტანურად ოპერაციის წინა პერიოდში.

მეთოდი აპრობირებულია კლინიკურ პრაქტიკაში და რეკომენდებულია მისი ფართო გამოყენება ჰეპატო-პანკრეატო-ბილიარულ ზონაში ოპერაციების წარმოების დროს.

წარმატებით შესრულდა 77 პერკუტანული ვირზუნგოსტომია ულტრაბგერითი რენტგენოსკოპული და კომპიუტერული რენტგენოსკოპული კონტროლით. 77 შემთხვევა წარმოებულ იქნა გართულებების გარეშე (პანკრეატიტი, სისხლდენა, ტკივილი).

წარმატებით და გართულებების გარეშე შესრულდა 16 ბალონით ასისტირებული ლითოლაპაქსია.

პერიამპულარული ზონის სიმსივნეების (ფატერის დვრილი, პანკრეასის თავი, ქოლედოქის დისტალური ნაწილის და 12 გოჯა ნაწლავი) რიგ შემთხვევებში, (წინასაოპერაციო პერიოდში ოპერაციამდე 2-3 კვირა), ბილიარული და პანკრეასული გზების პერკუტანული დრენირება გამოიყენებოდა:

- სადინრების დეკომპრესიის მიზნით;

- დრენაჟებს წარმატებით ვიყენებდით ანასტომოზური მიღამოების დეკომპრესიისთვის, გარეგანი - შინაგანი დრენირებით;
